საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 30 დეკემბერი, 2014 წელი.

№263 (7644)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ქონების უკანონოდ ჩამორთმევის საქმეების გამოძიება ნაუცბათევად ვერ მოხდება

განაცხადა საქართველოს მთავარმა პროკურორმა გიორგი ბადაშვილმა. 2015 წლის დამდეგიდან საქართველოს პროკურატურაში იგეგმება სპეციალური სამმართველოს შექმნა, რომელიც ამ მიმართულებით იმუშავებს.

„გავაანალიზეთ ქონების უკანონოდ ჩამორთმევის შესახებ შემოსული საჩივრები, ზიანის ოდენობის, ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფორმებისა და ქონებების სახეობების მითითებით. 2015 წლის დამდეგიდან საქართველოს პროკურატურაში იგეგმება სპეციალური სამმართველოს შექმნა, რომელიც სპეციალიზებული იქნება უშუალოდ ამ საკითხებზე სამუშაოდ, რათა ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს ქვეყანაში ის უსამართლობის განცდა, რაც მემკვიდრეობით გვერგო. ქონების უკანონოდ ჩამორთმევის საქმეების გამოძიებას დასჭირდება გარკვეული პერიოდი, ეს ვერ მოხდება მყისიერად, რადგანაც წლების განმავლობაში ათასობით ფაქტი დაგროვდა. თითოეული მათგანი საჭიროებს ინდივიდუალურად დეტალურ შესწავლას. საქართველოს პროკურატურა ამ პრობლემის გადაჭრის გზებსა და გეგმებზე საზოგადოებას უახლოეს მომავალში სრულ და დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის“, — განაცხადა ბადაშვილმა.

მისივე თქმით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პროკურატურაში ათასობით განცხადება შევიდა.

წულუკიანი გვაიმედებს, რომ სააკაშვილს ხელბორკილებით ჩამოაბრძანებენ

ინტერპოლის გადაწყვეტილება ხელისუფლების საქმიანობის შეფასების საგანი ვერ გახდება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა.

„წითელი ცირკულარით პირის ძებნას ახორციელებს ინტერპოლი. აქედან გამომდინარე ინტერპოლის გადაწყვეტილებაზე შეიძლება გამოითქვას სხვადასხვა შეფასებები, მაგრამ ინტერპოლის გადაწყვეტილება ხელისუფლების საქმიანობის შეფასების საგანი ვერ გახდება“, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

თეა წულუკიანი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს პროკურატურის მიმართვა ინტერპოლის გენერალური სამდივნოსადმი, სააკაშვილთან დაკავშირებით წითელი ცირკულარით ძებნის დაწყებაზე, წარმატებული იქნება

უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს მომავალს და არა – წარსულს

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკოლას ბერლინერმა კომენტარი გააკეთა საქართველოს პროკურატურის მიმართვასთან დაკავშირებით ინტერპოლის გენერალური სამდივნოსთვის, რომლითაც პროკურატურა სააკაშვილის წითელი ცირკულარით ძებნის დაწყებას ითხოვს.

„არ ვიცი, ამ განცხადების შესახებ, მაგრამ შემიძლია, აღვნიშნო, რომ ჩვენ თვალს ვადევნებთ და ვაკვირდებით მიმდინარე მოვლენებს ამ კუთხით. ჩვენი გზავნილი უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ამ კუთხით ჩვენი პარტნიორებისადმი იყო, მეტი ყურადღება დაეთმოს მომავალს და არა — წარსულს“, — აღნიშნა ნიკოლას ბერლინერმა.



სამინისტროს რჩეულნი

2014 წლის №1 სპორტსმენად ძიუდოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** დაასახელეს.

10



ფინტეების დიდოსტატი

ახლახან რომ ვირეოდით პელე-ვავა — გარინჩაზე, უფრო ადრე ჩვენ არ გვყავდა ჯეჯელავა — პაიჭაძე?

(ხალხური)

დავით სერგეევიჩმა ორი წლის მუშაობის ანგარიში წარადგინა

2

დავით ნარმანიამ თბილისის მთავრობის საქმიანობა შეაჯამა

4

ქალთა უფლებები სახელმწიფოსა და კანონმდებლობისგან დაუცველია

7

ლანძღვისა და კრიტიკის გასარჩევად, ანუ ქირიას „ვინმესაგან“

4

კორნელი კაკაჩია: ვიძახოთ, მტერიაო, მაგრამ ამით საქმეს ეშველება?

3

კვლევის შედეგები

6

მშვიდად ყოფნის საფუძველს არ გვაძლევს

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

დავით სერგეენკომ ორი წლის მუშაობის ანგარიში წარადგინა

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ „ექსპო ჯორჯიას“ მესამე პავილიონში საზოგადოებას ორი წლის მუშაობის ანგარიში წარუდგინა.

პრეზენტაციაზე მინისტრი 20-მდე მნიშვნელოვან პროგრამას და საკითხს შეეხო, რომელიც სამინისტროს მუშაობის

სამივე მიმართულებას - შრომის, ჯანდაცვისა და სოციალურ დაცვას მოიცავს. დავით სერგეენკომ პირველ რიგში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შესახებ ისაუბრა.

მისივე თქმით, 2013 წლის 28 თებერვლამდე სახელმწიფო ყველაზე მოწყვლადი კატეგორიისათვის სამედიცინო უზრუნველყოფას ახერხებდა, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით ვერ სარგებლობდა. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დღემდე პროგრამის ამოქმედებიდან სულ დაფიქსირდა 822 000 შემთხვევა პროგრამით სარგებლობის. 2014 წლის 1 დეკემბრისათვის პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში 2 882 000 ადამიანია რეგისტრირებული, 2012 წლის სტატისტიკური მონაცემებით კი, 2012 წლის ბოლოს ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ დაზღვეული იყო 1 618 000 ადამიანი.

პრეზენტაციაზე მინისტრმა სოფლის ექიმების პროგრამის შესახებ ისაუბრა. მისივე თქმით, 2014 წლის 1 მაისიდან მათ შეძლეს 30%-ით გაეზარდათ სოფლის ექიმების და ექთნების დაფინანსება. სამინისტროს ინფორმაციით, დღეისათვის სოფლის ექიმები ნაცვლად 500 ლარისა, იღებენ 650 ლარს, სოფლის ექთნები 350 ლარის ნაცვლად იღებს 455 ლარს. საქართველოს მასშტაბით სულ 1 258 სოფლის ექიმი და 1 511 სოფლის ექთანია.

მინისტრი დავით სერგეენკო შეეხო ასევე C ჰეპატიტის პროგრამას. მისივე განცხადებით, C ჰეპატიტი გლობალური პრობლემაა და ამ დაავადების მკურნალობა ძალიან ძვირი ჯდება. მინისტრმა აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში გატარებული რეფორმის შედეგად, შესაძლებელი გახდა ფასდაკლებას მიეღწია ძვირადღირებულ მედიკამენტზე, რომელიც 60%-ით გაიაფდა და ცდილობენ C ჰეპატიტის პროგრამა საზოგადოების ფართო ფენებზეც გავრცელდეს. ამ მიზნით, მიმდინარე წელს დაგეგმილია შემთხვევების მინიმუმადე შემცირება.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე საუბრისას მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ 2014 წლის ივნისიდან ამოქმედდა ყველა ორსულისათვის პროგრამა, რომლითაც ისინი დაცული არიან რკინა-დეფიციტური ანემიის შემთხვევაში. მინისტრმა აღნიშნა, რომ ყოველწლიურად საქართველოში რკინა დეფიციტური ანემიის შედეგად 300-მდე ბავშვი იღუპებოდა.

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საუბრისას დავით სერგეენკო შეეხო მიმდინარე წელს 82 ახალი ამბულატორიის აშენებისა და აღჭურვის საკითხს.

ჯანდაცვის მინისტრი შეეხო სოციალური დაცვის მიმართულებით განხორციელებულ პროგრამებსაც. მინისტრმა დასძინა, რომ 2013 წლის 1 სექტემბრიდან პენსიის ოდენობა 150 ლარამდე გაიზარდა. ეს ძალიან დიდი ზრდა არ არის, თუმცა, ეს ის არის, რისი გაკეთებაც სახელმწიფოს შეუძლია.

დავით სერგეენკო სამომავლო გეგმებსაც შეეხო. მან რამდენიმე პროექტი დაასახელა. კერძოდ, შეიცვლება სოციალურად დაუცველთა სარეიტინგო ქულების დათვლის სისტემა, იგეგმება პენსიების მოკრძალებული ოდენობის გაზრდა, ხარაგაულისა და დედოფლისწყაროს სამედიცინო ცენტრების მშენებლობა დასრულდება. ასევე მომავალი წლის გაზაფხულიდან 3 სამედიცინო დაწესებულებას თბილისში, რესპუბლიკური საავადმყოფო, ბავშვთა ინფექციური და ონკოლოგიური — აღიჭურვება და მათ რეკონსტრუქცია ჩაუტარდებათ. ასევე იგეგმება C ჰეპატიტის შემთხვევის შესამცირებელი პროგრამების განხორციელება.

◎ ღვინის ექსპორტი

იანვრიდან რუსეთში ქართული ღვინო გაძვირდება

რუსეთში ალკოჰოლური პროდუქციის გაძვირებას ელიან. რასაკვირველია, ეს პროცესი ქართულ ღვინოსაც შეეხება. გაძვირება უკვე დაწყებულია, მაგრამ უფრო შესამჩნევი და თვალშისაცემი იანვრიდან გახდება. რუბლის დევალვაციის გამო, ფინანსურ ოპერაციებში გარკვეული შეფერხებებია.

ფასები იმპორტირებულ ღვინოზე მომავალ წელს 30-40%-ით გაიზრდება, ხოლო რუსული ღვინოები, რომელიც უცხოური ნედლეულით არის დამზადებული 20%-ით გაძვირდება, - ასეთი მოსაზრება აქვთ რუს ექსპერტებს, რომლებიც გაძვირების მიზეზად რუბლის დევალვაციას ასახელებენ.

ალკოჰოლის ცენტრალური და რეგიონალური ბაზრების კვლევის ცენტრის დირექტორის ვადიმ დრობიზის აზრით, ექსპორტირებული ღვინის ფასი უკვე თებერვლიდან მინიმუმ 30%-ით გაძვირდება. „ლეგენდა „კრიმას“ დირექტორი მიხეილ შტირლინი კი აცხადებს, რომ იმპორტირებული პროდუქციის ფასში არის რუბლის შემადგენელი ნაწილი, მაგალითად, აქციზები. ამიტომ, ეროვნული ვალუტის გაუფასურება ორმაგად გაზრდის ფასს და შედეგად მივიღებთ 70-80%-იან გაძვირებას.

„ფასი ნებისმიერ შემთხვევაში გაიზრდება, რადგან იმპორტიორები ვერ იმუშავებენ ზარალზე. რუბლის კურსი, რა თქმა უნდა, ცოტა დასტაბილურდა შედარებით კვირის დასაწყისთან, მაგრამ ის მაინც რჩება იმ დონეზე, რომელიც არ იძლევა ძველი ფასების შენარჩუნების საშუალებას“, — აცხადებს შტირლინი.

უცხოური ღვინის მიმწოდებლებმა უკვე მიმართეს თხოვნით ფასების გაზრდაზე მიმდინარე წლის დეკემბრამდე. ისინი აკვირდებიან ბაზარს, ისევე როგორც ქართველი მეღვინეები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ჩრდილოეთის ბაზარზე, სხვა იმპორტირებულ ღვინოებთან ერთად, ქართულიც გაძვირდება.

ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორის „თბილღვინოს“ დამფუძნებელი ზურაბ მარგველაშვილი „ჯიბისისთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ რუბლის დევალვაციის გამოისობით, ფასის მომატება გარდაუვალია, რასაც მწარმოებელი ვეღარ აკონტროლებს.

ფასს ბაზრის კონიუქტურის, შიდა თუ გარე შოკების გათვალისწინებით პარტნიორი დისტრიბუტორი კომპანიები განსაზღვრავენ. მაგალითად, „თბილღვინოს“ დისტრიბუციას 4 კომპანია უზრუნველყოფს. მათ პროდუქციის გაძვირების გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მაშინ მიიღეს, როდესაც 1 დოლარი 45 რუბლის ნიშნულზე იყო. ახლა რუბლის კურსი 65-ის ფარგლებში მერყეობს, შესაბამისად, გაძვირებას ალტერნატივა არ გააჩნია.

მისივე ინფორმაციით, რუსეთის ბაზარზე საახალწლო პარტია გატანილია. ამ დროისთვის იქაური ვალუტის დევალვაციის გამო, გარკვეული შეფერხებებია და დისტრიბუტორები იანვარს ელოდებიან.

ოფიციალური სტატისტიკით, „თბილღვინოს“ რუსეთში 1 403 166 ბოთლი (0,75ლ) აქვს ექსპორტირებული და ამ მაჩვენებლით, კომპანიას რუსეთში ღვინის ექსპორტის 4% უჭირავს.

ზოგადად კი რუსეთში ღვინის ექსპორტის 34% ხუთ უმსხვილეს ექსპორტიორზე მოდის. „დუგლაძის ღვინის მარანს“ 2 698 248 ბოთლი გააქვს, „მარნის კარს“ — 2 522 968 ბოთლი, „ჯვივესს“ — 2 386 320 ბოთლი, „ბადაგონს“ — 2 150 509 ბოთლი, „ქართულ ღვინის სახლს“ — 2 100 000 ბოთლი.11 თვის მონაცემებით, რუსეთში ალკოჰოლური პროდუქციის ექსპორტს 57 კომპანია ეწევა, მათ შორის, 11 თვის მონაცემებით, ჩრდილოეთში 35 236 981 ბოთლი ღვინოა გადაზიდული.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქართული ღვინო მსოფლიოს 46 ქვეყანაში გადის და საექსპორტო ბაზრებს შორის რუსეთის წილი 63%-ია.

ბექა დანელია

◎ ინფორმაცია

პრეზიდენტი საახალწლოდ მოქალაქეებს ფულად დახმარებას გაუნაწილებს

ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მზრუნველობამოკლებულები, სოციალურად დაუცველები და მიუსაფარი ბავშვები საქართველოს პრეზიდენტისგან საახალწლო საჩუქრის სახით ფულად დახმარებას მიიღებენ.

ამ მიზნით ქვეყნის პირველმა პირმა შესაბამისი განკარგულება უკვე გამოსცა. განკარგულების თანახმად, საერთო ჯამში 1 530 ადამიანის დასახმარებლად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მილიონ სამოცდათერთმეტი ათასი ლარი გამოიყო. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, აღნიშნული ადამიანებიდან 411 მოხუცებული და შშმ პირია, 349 - მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელი, 424- ოჯახთან რეინტეგრაციის პროცესში მყოფი, 206 -ნათესაობით მინდობით აღზრდაში მყოფი პირი, 31 ბავშვი ბერი ანდრიას თავშესაფრის და 109 ბავშვი სკოლა პანსიონის აღსაზრდელი.

„თითოეულ ადამიანზე გამოიყო 700 ლარი, რომელიც უმეტესობას სოციალური სააგენტოს მეშვეობით პირად ანგარიშზე ჩაერიცხა. ხოლო საოჯახო ტიპის სახლები, ბერი ანდრიას ფონდისა და მეფე თამარის პანსიონის აღსაზრდელებისთვის თანხები ჩაერიცხათ თავად დაწესებულებებს, რომლებიც შემდგომში ამ დახმარებას ბავშვებს თავად გაუნაწილებენ“, — აცხადებენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

„ქართულ ოცნებას“ თავიც კი არა აქვს, რომ ღირსეულად იჩხუბოს

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას აუცილებლად მიიჩნევს.

ამის შესახებ ბურჯანაძემ სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ-ში“ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა.

„აუცილებელია, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს. ეს აუცილებლობა თუნდაც რამდენიმე დღის წინაც გამოჩნდა პარლამენტში, როდესაც ჩვენ დავინახეთ სამარცხვინო კადრები და სამწუხაროდ დავინახეთ ის, რომ „ქართულ ოცნებას“ ჩხუბის თავიც კი არა აქვს, რომ ღირსეულად იჩხუბოს. პირდაპირ შემიძლია გითხრათ: ჩვენ რომ პარლამენტში ვყოფილიყავით, ამას ვერც გვაკადრებდა, ვერც გაგვიბედავდა ნაციონალური მოძრაობა და თუკი გაბედავდნენ, ნაციონალური მოძრაობის ვერც ერთი მამაკაცი წევრი ინტერვიუს დაწყობილი სახით კამერების წინ ვერ მისცემდა“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, ამ ორი წლის განმავლობაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ერთადერთი გაუმჯობესება ის არის, რომ ჩვენ არ გვეშინია ტერორის, თუმცა ბურჯანაძის თქმით, ამას „ქართული ოცნება“ რომ არა, ნებისმიერი სხვა პოლიტიკური ჯგუფი მოახერხებდა, ნაციონალური მოძრაობის გარდა. ხოლო ის, რომ ქვეყანაში არ არის ტერორი, საკითხავია, ეს იმის გამო ხდება, რომ ხელისუფლებას ამის სურვილი არა აქვს, თუ უნარი არ შესწევს.

ხილისა და ბოსტნეულის შეტანა არ აუკრძალეს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებით, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ახალი წლიდან რუსეთში ქართული ხილისა და ბოსტნეულის შეტანა იკრძალება, სიმართლეს არ შეესაბამება.

ამის შესახებ ნათქვამია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტი 2013 წლიდან განახლდა. პირველ ეტაპზე რუსეთის ბაზარზე დაბალი ფიტოსანიტარიული რისკის, მოგვიანებით კი, მაღალი ფიტოსანიტარიული რისკის შემცველი პროდუქცია დაიშვა. ამ ეტაპზე საქართველოდან რუსეთში ალკოჰოლური და მინერალური სასმელების, ასევე ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსის, მშრალი ხილის, სუნელების, ჩაის და დაფნის ექსპორტი ხორციელდება.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები ცხოველური წარმოშობის პროდუქციის, ცხვრის, თევზისა და თაფლის ექპორტის განსახორციელებლად“ , — ნათქვამია განცხადებაში.

◎ აქტუალური თემა

ვიძახოთ, მტერიაო, მაგრამ ამით საქმეს ეშველება?

„პუტინი საქართველოს მტერია“, — ნაციონალებისგან ანგაჟირებული ადამიანები უკვე მერამდენედ ითხოვენ ამის თქმას ჯერ ივანიშვილისგან, შემდეგ — ღარიბაშვილისგან. პრესკონფერენციაზე ეს შეკითხვა დაჟინებით დაუსვეს ღარიბაშვილს, მაგრამ პრემიერმა სახელმწიფოებრივი აზროვნება მოიშველია და იმისთვის, რომ „ესიამოვნებინა კონკრეტული ჟურნალისტისთვის“, არ გაიმეორა, პუტინი საქართველოს მტერიაო.

For.ge-მ ამ შეკითხვით მიმართა პოლიტოლოგ კორნელი კაკაჩიას.

— ყველა პოლიტიკოსს და ყველა პარტიას აქვს თავისი სტრატეგია. ასევეა „ქართული ოცნებაც“, რომელიც კონსტრუქციულობის პოლიტიკას აგრძელებს. ამ პოლიტიკაში, რა თქმა უნდა, არ ჯდება ასეთი ფრაზები. აქედან გამომდინარე, ამას არც არავინ ელოდება „ოცნებისგან“ რუსეთთან მიმართებით. სხვა საკითხია, რამდენად ეფექტური იქნება ასეთი პოლიტიკა, ამას დრო დაგვანახებს, მაგრამ ამაში დიდი პრობლემა არ არის.

— ირაკლი ღარიბაშვილი პუტინთან შესაძლო შეხვედრაზე ალაპარაკდა, ოღონდ მან თქვა, ეს არ უნდა იყოს შეხვედრა შეხვედრისთვისო. არის ამის მზაობა?

— პუტინთან შეხვედრის არც ფსიქოლოგიური და არც პოლიტიკური ფონი უახლოეს მომავალში არ არსებობს. პირიქით, სიტუაცია გაუარესდა, განსაკუთრებით, აფხაზეთთან და ცხინვალთან ხელშეკრულების დადების შემდეგ. ძალიან რთული იქნება, ნებისმიერი პოლიტიკოსი მოსალაპარაკებლად წავიდეს პუტინთან, მაშინ, როცა არანაირი ნიშანი არ არსებობს, იმისა, რომ რუსეთი მზად არის მოლაპარაკებისთვის. მოლაპარაკება მხოლოდ მოლაპარაკებისთვის რუსულ დიპლომატიას უფრო აწყობს, რათა დაანახოს დასავლეთს, რომ საქართველოსთან შესაძლებელია კონსტრუქციული ურთიერთობის შენარჩუნება, მიუხედავად პრობლემებისა.

— „ოცნების“ მმართველობის კიდევ ერთი წელიწადი იწურება. ვინ მიგაჩნიათ წლის პოლიტიკოსად? დაინახეთ ვინმეში ამის რესურსი? შესაძლოა, ადამიანი არ ჩანდა თავისი მოღვაწეობით აქამდე, მაგრამ ის აღმოჩენა გამხდარა ექსპერტთა საზოგადოებისთვის.

— რამდენიმე პიროვნება შეიძლება ამოირჩეს. ალბათ, ყველაზე უფრო მეტად გამოჩნდა დავით უსუფაშვილი, როგორც პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, მას საზოგადოება მანამდეც, ასე თუ ისე, იცნობდა, მაგრამ როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ როლისთვის ზედგამოჭრილია. მან ეს დაადასტურა ბევრ გამოსვლაში. მეტნაკლებად, ის არ ღალატობს დემოკრატიულ პრინციპებს, იმის მიუხედავად, რომ ხშირად ისინი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს რაღაც პოლიტიკას. შესაძლოა, ჯერ ბოლომდე არ არის გარკვეული, მაგრამ ირაკლი ალასანიასთვის მნიშვნელოვანი იყო, ოპოზიციაში რომ გადავიდა.

— გამართლებულად მიგაჩნიათ ეს ნაბიჯი, რომ ალასანიამ უკან არ დაიხია და ოპოზიციონერად მოგვევლინა?

— დიახ, მან ცოტათი დააგვიანა კიდეც. მანამდეც უნდა გასულიყო, აშკარად ჩანდა, რომ მისი და მისი პარტიის მოწოდებები აშკარად არ ემთხვეოდა „ქართული ოცნების“ ხედვებს.

— მანამდე როდის ჰქონდა მას „ქართული ოცნებისგან“ განცალკევების შესაძლებლობა?

— ეს თავიდანვე გამოჩნდა, როცა ივანიშვილმა იგი ჩამოაცილა ვიცე-პრემიერის პოსტს. იქიდანვე ჩანდა, რომ ისინი დიდ ხანს ვეღარ იქნებოდნენ ერთად.

— მაგრამ თავის დროზე რომ გადაედგა ეს ნაბიჯი და ბევრი რამ რომ არ მოეთმინა, ეს ხომ იქნებოდა სკანდალი ნაციონალების იმდროინდელი შესაძლებლობიდან გამომდინარე?

— ამას შეიძლება გარკვეული ახსნა მოვუძებნოთ, მაგრამ მეორე მხრივ, ალასანიას პირადი რეიტინგისა და მისი პარტიისთვის, ალბათ, უკეთესი იქნებოდა ამის უფრო ადრე გაცხადება. მე მაინც მგონია, რომ ცოტათი დააგვიანა. მისთვის ნაკლებად სასარგებლო დროს მოუხდა გადადგომა, როცა მას ედავებოდნენ კორუფციულ სქემებს, რაც მთლიანობაში, მისთვის არ იყო მომგებიანი, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ვერ ადასტურებს მის ბრალს.

— თქვენგან მოწონებულმა დავით უსუფაშვილმაც შესაძლოა, ანალოგიური ნაბიჯი გადადგას. მაშინაც ხომ არ გაგიჩნდებათ აზრი, რომ ჯობდა, ეს უფრო ადრე მომხდარიყო?

— რა თქმა უნდა, რადგან აშკარად ჩანს, რომ ზოგადად, რესპუბლიკელები და, მათ შორის, უსუფაშვილი მთლიანობაში, ვერ ჯდებიან იმ გემოვნებაში, რომელიც „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს ახასიათებს. აქედან გამომდინარე, დროის საკითხია, როდის დადგება მათი გამოსვლის პერიოდი. ეს ალბათ, 2016 წლის არჩევნებამდე მოხდება, ანუ მომავალი წელი ამ კუთხით მნიშვნელოვანი იქნება.

— რამდენად მომგებიანი იქნება მომავალი წლის არჩევნებამდე ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან ბიძინა ივანიშვილის ფაქტორამდე ეს ძალები ვერ აღწევდნენ არჩევნებში გამარჯვებას? დროის ამ მონაკვეთში ისინი მოძლიერდებოდნენ?

— ეს სერიოზული ფაქტორია. ორი წელიწადი ქართული პოლიტიკისთვის ძალიან დიდი დროა და ჩვენ არ ვიცით, რა გადაწყდება ამ ხნის განმავლობაში, სცენარის რომელი ახალი აქტორები გამოჩნდებიან. ჩვენ არ ვართ დასავლეთ ევროპული ქვეყანა, სადაც წინასწარ ჩამოყალიბებული პოლიტიკური კულტურაა და მეტ-ნაკლებად იციან, რომ აქტორები არ იცვლებიან. ჩვენთან შეიძლება, ისეთი მოვლენა მოხდეს, რომელმაც სხვა სიბრტყეში გადაიყვანოს მოსახლეობის დამოკიდებულება მთავრობისადმი. სავარაუდოდ, ამ ორი წლის განმავლობაში სიახლე იქნება და მესამე ძალაც გამოჩნდება. მით უმეტეს, საზოგადოების დიდი ნაწილი გულაცრუებულია ნაცმოძრაობაზეც და „ქართული ოცნების“ მთავრობაზეც და გულაცრუება თანდათან იზრდება.

— პრემიერი აცხადებს, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში რომ არ მოსულიყო, აქ უარესი მდგომარეობა იქნებოდა, ვიდრე უკრაინაში და ამას მოახერხებდა სააკაშვილიო.

— რაც შეეხება ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას, ეს აუცილებელი იყო, რადგან ნაცმოძრაობა ავტორიტარული ხელისუფლების თვისებებს იძენდა, 2008 წლის შემდეგ ახალს ვერაფერს აკეთებდა და დროის გაწელვის პოლიტიკას აწარმოებდა. წინასწარ რთულია თქმა, უკრაინაზე უარესი მდგომარეობა იქნებოდა თუ არა საქართველოში, მაგრამ ფაქტია, საზოგადოება მოითხოვდა ცვლილებებს.

— „ნაციონალური მოძრაობა დანგრეულია“, — ასეთია პრემიერის შეფასება. არის კი ნაცმოძრაობა დანგრეული თუ ეს უბრალოდ, სურვილები და ოცნებებია?

— ნაციონალური მოძრაობა დანგრეული არ არის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ დასუსტებული და დეზორგანიზებულია, მათ არ ჰყავთ ისეთი მასობრივი მხარდამჭერები, როგორც მანამდე ჰყავდათ. ისინი არიან საკუთარი სიტუაციის გადაფასების პერიოდში. მათთვის მნიშვნელოვანია, როგორ წარიმართება მომავალი პარტიის შიგნით და რამდენად მოახერხებენ გამიჯვნას სააკაშვილისგან. სააკაშვილთან ერთად მათ დიდი მომავალი არა აქვთ, საჭიროა რებრედინგი. ამის გამო ჩაჩოჩება მოუწევთ ცნობილ პოლიტიკოსებს, რომლებმაც თავი მოაბეზრეს ამომრჩეველს.

— რიგითი ადამიანებისთვის კარდინალურად არაფერი შეცვლილა. მართალია, მათ განსხვავებული აზრის გამო არ დევნიან, მაგრამ რეალობის გათვალისწინებით, პენსიების ზრდა ისევ პრობლემატურია. ერთ-ერთმა თელაველმა განვლილი წლის შეფასებისას განაცხადა, რომ ცუდია, სააკაშვილი რომ გაიქცა აქედან. ოდესღაც სააკაშვილის მთავრობას ჰქონდა შესანიშნავი კოჰაბიტაცია დასავლეთთან. ახალმა ხელისუფლებამ კი ვერ აუხსნა დასავლეთს, რა ხდებოდა საქართველოში ცხრაწლიან პერიოდში. ასე რომ, რიგითი მოქალაქეებისთვის ასოცირების ხელშეკრულება დიდი შვება არ არის.

— სააკაშვილის შესახებ შეიძლება, ბევრი რამ ითქვას, მაგრამ მაინც მგონია, რომ სააკაშვილზე გამოკიდება პიროვნულად იმდენად არ არის მთავარი, რამდენადაც ის, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს და ქონების ჩამორთმევის, ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტები ბოლომდე გამოაშკარავდეს. საზოგადოება ელის, რომ დამნაშავემ პასუხი აგოს, ვინც არ უნდა იყოს ის. ორიგინალური არ ვიქნები,, თუ ჩავთვლი, რომ ასოციირების ხელშეკრულება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია არა მარტო ამ წლის, შეიძლება, ათწლეულებითაც კი, რასაც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს მოსახლეობა იგრძნობს. საგარეო პოლიტიკაში ამან ყველა საკითხი გადაფარა. რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, მიჭირს წარმატებული ვარიანტების პოვნა. მთლიანობაში, იგრძნობა, რომ მთავრობა ბოლომდე ვერ არის ჩამოყალიბებული და ვერ იპოვა ის გამოსავალი, რომლითაც შეიძლება პრობლემებთან გამკლავება. ერთადერთი, ჯანდაცვის მიმართულებით გაკეთდა რაღაც.

— 2015 წლის რეკომენდაცია რა იქნება ახალი ხელისუფლებისთვის?

— პირველ რიგში, უნდა ჩამოყალიბდეს კონკრეტული კონცეპტუალური ხედვები სხვადასხვა დარგის მიმართულებით, ყველა სფეროს უნდა ჰყავდეს თავისი ლიდერი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ამ სფეროში განხორციელებულ სამუშაოებზე. უნდა იყოს კონტროლი, რომ ეს ყველაფერი შესრულდეს და არ იყოს სუმბურული ხედვები. თუ ეს ამ წელს არ გააკეთეს, ეს აუცილებლად აისახება შემდეგ არჩევნებზე „ოცნების“ რეიტინგზე. ამ ყველაფრისთვის მათ მოუწევთ ფასის გადახდა არჩევნებზე.

მანანა ნოზაძე

◎ განცხადება

მეცნიერები პარლამენტს სთხოვენ, ხელი შეუწყოს „საქართველოს სახელმწიფო ენის“ შესახებ კანონის მიღებას

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა და მეცნიერებმა „საქართველოს სახელმწიფო ენის“ კანონის შესახებ განცხადება გაავრცელეს. მასში საუბარია, რომ ჩარჩო კანონის მიღება ინსტიტუციური გარანტია იქნება სახელმწიფო ენის მართვისა და გამოყენებისათვის. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების განცხადების მიხედვით იგი უზრუნველყოფს ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ქართული და აფხაზური ენების სახელმწიფოებრივ სტატუსს - საქართველოს ერთ-ერთ ნაწილში — აფხაზეთში.

„სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონის მიღებას საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაგრამ საქართველო იმ სახელმწიფოთა შორისაა, რომელთაც „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონი ჯერ კიდევ არ გაჩნიათ. იგი ამ მხრივ რეგიონის მასშტაბითაც გამონაკლისია.

ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი ჯერ კიდევ 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აღდგა, როცა შესაბამისი კანონი მიიღეს. საბჭოთა სისტემის დროს, 1978 წლის 14 აპრილს, ქართულმა საზოგადოებამ ახალგაზრდობის თაოსნობით შეძლო ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შენარჩუნება. თუმცა, ბოლო ორი ათეული წელია, ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი ძირითადად მხოლოდ კონსტიტუციითაა უზრუნველყოფილი. გასული საუკუნის 90—იანი წლებიდან დაწყებული კანონპროექტი „სახელმწიფო ენის შესახებ“ ყველა ხელისუფლების განხილვის თემა იყო, მაგრამ ვერც ერთი მოწვევის პარლამენტმა ვერ შეძლო მისი მიღება. ამჯერადაც ფერხდება საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიღება. ენათმეცნიერებისა და იურისტების ჯგუფის მიერ შემუშავებულ კანონპროექტში გათვალისწინებულია ახალი რეალიები. შესაბამისად, იგი უპასუხებს ახალ გამოწვევებს. კანონპროექტმა ექსპერტიზა გაიარა ყველა შესაბამის ევროპულ ინსტანციაში. საჭიროა მხოლოდ სახელმწიფოს ნება, რათა არსებული ხარვეზი აღმოიფხვრას. ჩარჩო კანონის მიღება ინსტიტუციური გარანტია იქნება სახელმწიფო ენის მართვისა და გამოყენებისათვის. იგი უზრუნველყოფს ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ქართული და აფხაზური ენების სახელმწიფოებრივ სტატუსს — საქართველოს ერთ-ერთ ნაწილში — აფხაზეთში.

ვთხოვთ საქართველოს პარლამენტს, გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და ხელი შეუწყოს სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტის მიღებას.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს და გაცილებით ფართო მასშტაბით გააგრძელოს ქართული ენის შესწავლის სახელმწიფო პროგრამა, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავის მხრივ, გამოხატავს მზადყოფნას, აქტიურად ჩაერთოს როგორც ამ პროგრამის განხორციელებაში, ასევე ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის განმტკიცების საქმეში“, — ნათქვამია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებისა და მეცნიერების მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ:

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი, აკადემიკოსი მზეძალა შანიძე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, პროფესორი რამაზ ძურდაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გურამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აპოლონ სილაგაძე, აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი, პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე, აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორი ნუგზარ სურგულაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ავთანდილ არაბული, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვაჟა შენგელია, პროფესორი თედო ნინიძე, პროფესორი ოთარ გამყრელიძე, პროფესორი თედო უთურგაიძე, პროფესორი ბესარიონ ზოიძე, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე.

◎ ქართული ვალუტა

როგორი უნდა იყოს სინამდვილეში ლარის კურსი?

საქართველოს ეროვნული ბანკი პრობლემებს უქმნის ბიზნესსა და სახელმწიფოს

არასწორად დადგენილი ლარის კურსი და განაკვეთი რეფინანსირებაში წარმოადგენს დიდ პრობლემას ბიზნესისთვის და სახელმწიფოსთვის.

დოლარის ლართან მიმართებაში 1,70 - 2,00 კურსი შეცდომაა. ხელოვნურად შექმნილი და შენარჩუნებული კურსი მძიმე ტვირთად აწევს ქართულ ეკონომიკასა და ქართველ ხალხს.

ლარის კურსი და რეფინანსირების განაკვეთი - მონეტარული ხასიათის ეს ორი მაჩვენებელი — საქართველოს ეროვნული ბანკის პრეროგატივაა, ამჟამინდელი ძალთა გადანაწილებისა და კონსტიტუციური წყობის პირობებში.

ამჟამინდელი ლარის კურსის ეჭვქვეშ დაყენება შესაძლებელია, თუნდაც ადამიანს არ ჰქონდეს ეკონომიკური განათლება და არ იყოს დიდი ექსპერტი ან ანალიტიკოსი ამ საკითხებში.

სწორედ თავდაპირველი განაკვეთი კურსისა ლარის დოლართან მიმართებაში არის მცდარი. კურსი ქვეყნების ეკონომიკის ობიექტური შესაბამისობაა. არ შეიძლება სერიოზულად აღვიქვათ ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ეკონომიკა მხოლოდ ორჯერ მეტია. მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობით და ხარისხით ჩვენ განვსხვავდებით 100-ჯერ, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე (მშპ) 12-ჯერ.

ჩინეთმა შემთხვევით არ დაადგინა თავისი ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში 10-ჯერ ნაკლები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინეთის ბიზნესისთვის 10-ჯერ უფრო ადვილია ფულის გამომუშავება და დაკონვერტირება თავისი კვლავ შექმნილ ღირებულებაში. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩინური იუანი გამყარდა 6,2 იუანამდე 1 დოლარზე.

ექსპორტ-იმპორტის ბალანსიც ვერ უწყობს ხელს ასეთ კურსს მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც მაღალი რჩება სხვაობა. ეს დისბალანსი მიიღწევა სხვადასხვა წლებში 3-დან 5-მდე.

არც ერთი სერიოზული ეკონომისტი, რომლებსაც მე ვიცნობ, არ თვლის რომ ლარის კურსი ობიექტურია. სერიოზულად არავინ აღიქვამს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია პერსპექტივაში აკონტროლოს არსებული კურსი.

საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა საკრედიტო-ფულადი ურთიერთობის რეგულირება, ბანკების ზედამხედველობა და სხვა. ამის ნაცვლად, საქართველოს ეროვნული ბანკი გადაიქცა თავისთვის ფულის კეთების ქარხნად. არავინ არ არის ამის წინააღმდეგი, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მონოპოლიური მდგომარეობისა და უკანონო საპროცენტო განაკვეთების დადგენის ხარჯზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, ლარის რეფინანსირების განაკვეთის შედარებისას ევროს რეფინანსირების განაკვეთთან (ევროპის ცენტრალური ბანკი) და დოლარის რეფინანსირების განაკვეთთან (ფედერალური სარეზერვო სისტემა) ჩანს, რომ არსად, არც ევროპაში და არც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცენტრალური ბანკების მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთი არ აღემატება ინფლაციის დონეს.



გრაფიკზე ჩანს, რომ რეფინანსირების განაკვეთი არ შეიძლება იყოს ინფლაციის დონეზე მეტი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა მცირე დროისა და კრიზისული მომენტების დროს. ხოლო რეფინანსირების განაკვეთის ორმაგად გადამეტება ინფლაციის დონესთან მიმართებში აბსურდია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის დანაშაული საკუთარი სახელმწიფოს მიმართ.

ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, ლარის კურსი დოლართან და ევროსთან მიმართებაში უნდა იყოს 5-10 ლარის ფარგლებში, რეფინანსირების განაკვეთი კი უნდა შემცირდეს ორჯერ.

ურუზმაგ ძარძუსოვი.
გლობალურ-ეკონომიკური კორპორაციის დირექტორი

◎ SIC!

ზოგიერთისთვის მრეწველი მხოლოდ ძროხაა მეწველი

პატივცემულო რედაქცია, ჩვენი ნაციონალი ოპოზიციონერების გადამკიდეს, ოპოზიცია შეგძულდება, მაგრამ ზოგჯერ ოპოზიციონერებისგან გაგონილი ინფორმაცია საყურადღებოა.

მაგალითად, ჯონდი ბალათურია და სოსო შატბერაშვილი საუბრობდნენ ტელევიზიაში („ობიექტივში“). მათი ინფორმაციით, მთავრობა აპირებს ბუნებრივი აირი კიდევ უფრო გაუძვიროს მეწარმეებს და ამას ახალი მენეჯმენტის შესვლით ასაბუთებენ.

მერამდენედ უნდათ მეწარმეთა ხარჯზე ასეთი რამის გაკეთება! შეგახსენებთ, ჩვენში მეწარმეთათვის ბუნებრივი აირის ტარიფები ბევრად მაღალია ვიდრე ვთქვათ, უკრაინაში. ეს ნიშნავს, რომ ქართული პროდუქციის თვითღირებულება, რაც ისედაც ვერ უწევს კონკურენციას ჩვენ დახლებზე აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ პროდუქტებს, მთლად დაიკარგება! ეს არის მეწარმეობის ხელშეწყობა?

სააკაშვილის მთავრობა „დარეგულირებით“ გვაბრუებდა. ახლა ვიღაცას მეწარმეთა კიდევ უფრო მეტად მოწველა მოუნდა!

პოლიტიკურ სატელევიზიო არხზე მრეწველები ზურაბ ტყემალაძე და გოგი თოფაძე ვიხილეთ. რა კარგი დრო დადგაო, ამბობდნენ.

კი, ბატონო, მეწარმეებს აღარ იჭერენ, მაგრამ შემირცხვენია ისეთი თავისუფლება, როცა ბუნებრივ აირს (იმასაც უხარისხოს) გაგიძვირებენ. წყალი მეწარმეთათვის 4 ლარი და 40 თეთრია. ხოლო ნაგავზე სააკაშვილის დროს ჩადებული დადგენილება ნაღმივით აამოქმედეს.

ეს არის ხელშეწყობა?

ჩვენში ხელს უწყობენ უცხოელი მეპატრონეების ფირმებს, მათს მენეჯმენტს, ქართულს კი ახალ-ახალ თავსატეხებს უჩენენ. ამ ქვეყანაში არც ბიზნესობმუდსმენია, მეწარმეთა ინტერესების დამცველი.

მივმართავთ მოქალაქე ბიძინა ივანიშვილს — იყო ასეთი ფილმი —„ჩაპაევი, სადაც გლეხი ამბობს. თეთრები მოვიდნენ, გვყვლეფდნენ, წითლები მოვიდნენ, გვყვლეფენო.

ასეა ჩვენი, მეწარმეთა საქმე!

ძვირფასო რედაქცია, იქნებ მიაწვდინოთ ჩვენი ეს გულისთქმა და ტკივილი მათ, ვისაც ამ საკითხების მოგვარება ევალებათ.

ნუგზარ ბოჭორიშვილი,
ალექსანდრე ჯოხაძე.
მეწარმეები, „სრ“-ის ერთგული მკითხველები

◎ ვნახოთ, ვნახოთ...

ლანძღვისა და კრიტიკის გასარჩევად,

ანუ ქირიას „ვინმესაგან“

იმ დღეს ჩემი ტელეფონი არ გაჩერებულა.

ბევრი მადლობას მიხდიდა — ჩვენი საერთო სათქმელი გამოხატეო...

ბევრიც მეკითხებოდა, რა დაწერე ისეთი, კუდები ასე ძალიან რომ აეწვათო...

მთხოვდნენ, ის წერილი ფეისბუქშიც დადეო.

არ დავდე, რადგან „ისეთი“ მართლა არაფერი დამიწერია. ეთიკის სრული დაცვით გამოვთქვი ის, რასაც სოციალურ ქსელში ჩემთვის მიუღებელი ფორმით გამოხატავენ. მაგალითად, ინგა გრიგოლიასა და მისი გადაცემ(ებ)ის ჩემეული შეფასება იმასთან შედარებით, რასაც მასზე ფეისბუქზე წაიკითხავთ, ქებათა ქებად მოგეჩვენებათ.

„რუსთავი-2“-ზეც იგივე ითქმის.

მაინც გამომხტარა ამ უკანასკნელის მედიამიმომხილველი და გაკვირვება ვერ დაუფარავს — **წარმოგიდგენიათ, ასეთ ცნობილ ტელეჟურნალისტებს „საქართველოს რესპუბლიკის“ ავტორი, ვინმე იოსებ ჭუმბურიძე ლანძღავსო?!**

ჯერ ერთი, პრესის მიმომხილველი კრიტიკას ლანძღვისგან უნდა არჩევდეს, მეორე და უფრო ტრაგიკული: იოსებ ჭუმბურიძე კი არა, თვით ილიაც რომ იყო, ამათთვის, მაინც **ვინმე** იქნები, თუ თავი იმ ყუთში არა გაქვს გამოყოფილი, რასაც თუნდაც „რუსთავი-2“ ერქმევა (მეშინია, ახლა ის არ იკითხონ, რომელ ილიას გულისხმობსო?!)...

რა უნდა ვუთხრა ახლა მიმომხილველ ქირიას — იმას ხომ არ ვეტყვი, **ვინმე** შენ თვითონ ხარო. კაცი ყუთში ზის და ეს როგორ ვაკადრო?!

ჩემი წიგნების წაკითხვა ვურჩიო (მათ შორის ჟურნალისტიკაზე)? — ცოდოა, ისედაც ბევრი აქვს წასაკითხი. სხვათა შორის, აქამდე მეგონა, რომ მარტო საგაზეთო სტატიათა სათაურების წაკითხვა შეეძლო (მხოლოდ ხანდახან ეშლებოდა), თურმე, ცოტა მეტიც შესძლებია.

იმედია, ხელმძღვანელობა დაუფასებს.

მე კი ადვილად გადავიტან მისთვის **ვინმედ** დარჩენას და თავს იმით ვინუგეშებ, რომ, სამაგიეროდ, **ვინმე** არ ვყოფილვარ ანა კალანდაძისთვის, მედეა ჯაფარიძისთვის, რეზო თაბუკაშვილისთვის, აკაკი გაწერელიასთვის, მურმან ლებანიძისთვის, მიხეილ თუმანიშვილისთვის, ელგუჯა ამაშუკელისთვის, თენგიზ აბულაძისთვის... **ვინმე** არა ვარ ნანი ბრეგვაძისთვის, რობერტ სტურუასთვის, თემურ ჩხეიძისთვის, როსტომ ჩხეიძისთვის, ზურაბ ნიჟარაძისთვის, ბაჩანა ბრეგვაძისთვის, ვახტანგ დავითაიასთვის, მარინა ჯანაშიასთვის, ეთერ თათარაიძისთვის, ნინელი ჭანკვეტაძისთვის, რუსუდან ბოლქვაძისთვის, ლელა ალიბეგაშვილისთვის...

მხოლოდ ერთი რამ მადარდებს: რაკი „საქართველოს რესპუბლიკის“ ავტორად მთვლის, მიმომხილველმა, ამიერიდან, ჩემი მიზეზით, უარი არ თქვას ამ გაზეთის მიმოხილვაზე, თუმცა, არა გვგონია, დემოკრატიული მედიის ფლაგმანმა („გამარჯვებული ხალხის ტელევიზიამ“) ესეც იკადროს. ვნახოთ...

იოსებ ჭუმბურიძე

◎ ალიანჩალიანი

დავით ნარმანიამ თბილისის მთავრობის საქმიანობა შეაჯამა

როგორც მან სხდომის დაწყებამდე განაცხადა, თბილისის მთავრობის დამტკიცებისას ბევრი პრობლემა დახვდათ. ნარმანიას განცხადებით, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ნაწილში ისევე როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ადმინისტრირების ნაწილში ბიუჯეტი, პრაქტიკულად გახარჯული იყო, რის გამოც, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა მოუწიათ.

მერის ინფორმაციით, დაფინანსდა ოპერაციები, ერთჯერადი დახმარებები და კომუნალური დახმარებები. დავით ნარმანიამ მერიის ქვემდებარე ორგანიზაციების ვალდებულებების აქტივობებისა და პასივობის მდგომარეობაზე ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა, რომ ინვენტარიზაციის შედეგად საკმაოდ მძიმე შედეგები გამოვლინდა.

დედაქალაქის მერმა ასევე ტენდერების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2014 წელს მისმა წინამორბედებმა გვიან დაიწყეს ტენდერები, განსაკუთრებით ეს ეხება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ ტენდერებს.

ნარმანიამ განმარტა, რომ ზოგიერთი მათგანის ჩაშლა მოუწიათ, ვინაიდან არ იყო დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაცია, ამის შემდეგ კი ნაწილი ხელახლა გავიდა ტენდერზე, სამუშაოების ნაწილი კი, გადაუდებელი აუცილებლობით დაიწყო. მისივე თქმით, ყველა ტენდერი და ყველა შესყიდვა კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელდა.

დედაქალაქის მერმა კადრების შესახებაც ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა, რომ ატესტაცია კანონმდებლობისა და დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით ჩატარდა.

დავით ნარმანია დარწმუნებულია, რომ კონკურსიც მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდება.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, დავით ნარმანიას განცხადებით, ძალიან სერიოზული სამზადისი აქვთ 2015 წელთან დაკავშირებით. მისივე თქმით, ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია, პრიორიტეტები გამოყოფილია და 804 მილიონ ლარამდე დაფინანსება გადანაწილებულია პრიორიტეტებისა და ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

ღამის საათებში ფოიერვერკის გამოყენება იზღუდება

დედაქალაქის მერი დავით ნარმანია მოქალაქეებს ფოიერვერკების გამოყენების წესების დაცვისკენ მოუწოდებს. როგორც დავით ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ორი კვირის წინ, თბილისის მთავრობის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, დადგინდა ფოიერვერკების გამოყენებასთან დაკავშირებული მინიმალურად აუცილებელი რეგულაციები.

დავით ნარმანიას თქმით, დადგენილი წესის მიხედვით, სადღესასწაულო დღეების გარდა, დედაქალაქის ტერიტორიაზე, ღამის საათებში ფოიერვერკის გამოყენება იზღუდება.

„ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა, არასასურველი შედეგი მოჰყვეს ფოიერვერკის გამოყენების წესების დარღვევას. ამიტომ მნიშვნელოვანია, ყველამ დავიცვათ წესები. გარდა სადღესასწაულო დღეებისა, ჩვენს მიერ დადგენილი წესის მიხედვით, დედაქალაქის ტერიტორიაზე ღამის საათებში ფოიერვერკების გამოყენება იზღუდება, როგორც ეს ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია. შუაღამეს ფოიერვერკის გამოყენება და ხმაური დისკომფორტს იწვევს ჩვენი მოქალაქეებისთვის, ამიტომ მნიშვნელოვანია, მათი ინტერესები იქნას გათვალისწინებული და არ გამოვიყენოთ ფოიერვერკები, რომელიც იწვევს ხმაურს ღამის საათებში“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ინტერპრესი

◎ რეპორტაჟი ნომერში

აჭარის განმათავისუფლებლებს პატივი მიაგეს

განმათავისუფლებელთა პატივდების დროს

სახალხო მოძრაობის — „ქართულ-რუსული დიალოგისა და თანამშრომლობისათვის“ წევრებმა, ევრაზიის ინსტიტუტის მხარდაჭერით, თავიანთ ერთ-ერთ მთავარ სამოქმედო გეგმად დიდი სამამულო ომის, აგრეთვე უფრო ადრინდელი, მეფის პერიოდის დიდების მემორიალების აღდგენა-რეაბილიტაცია დაისახეს. ეს ძეგლები სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში არიან იავარქმნილნი. ასე მაგალითად, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ დირბში, შეკეთდა დიდი სამამულო ომის მემორიალი, ამჯერად კი სრულდება ქობულეთთან, სოფ. ხუცუბანში, რუსი ჯარისკაცების საძმო სასაფლაოს რესტავრაცია. რუსი ჯარისკაცები 1878 წლის 18 იანვარს დაეცნენ ციხისძირის ბრძოლაში, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის ერთ-ერთ ეპიზოდს წარმოადგენდა. პოლკოვნიკ რებინდერის მიერ 1902 წელს სასაფლაოზე დადგმული ქვის მონუმენტი ჯვრით, ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ გაიწმინდა და გადაიღება. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური სამუშაო საძმო სასაფლაოს გარშემორტყმული ქვის ღობის გასამაგრებლად. ხალხი ენთუზიაზმით მუშაობს.

„როდესაც ევრაზიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა რუსი ჯარისკაცების საძმო სასაფლაოს აღდგენაში დახმარება შემოგვთავაზეს, ჩვენ ეს ძალიან გაგვიხარდა — ხომ სწორედ მათ მიერ 1877-78 წლების ომში გამოჩენილი გმირობის შედეგად იქნა გათავისუფლებული აჭარა, ჩვენი მშობლიური კუთხე. ჩვენ ბევრი დადებითი გვახსოვს რუსეთისაგან საბჭოთა პერიოდშიც და კარგი მაინც მეტი იყო, ვიდრე ცუდი“, — ამბობს 44 წლის იმედა თხილაიშვილი, სოფელ ხუცუბნის მკვიდრი, რომელმაც არაერთი წელიწადი გაატარა რუსეთში და მადლიერებით იხსენებს იმ დროს.

ნაწილობრივ რესტავრირებული საძმო სასაფლაოს წინასწარ გახსნაზე, უფრო კი მიმდინარე სამუშაოების დათვალიერებაზე, სოფელ ხუცუბნის მკვიდრნი შეიკრიბნენ. აგრეთვე მოვიდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის, ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს თანამშრომლები, ასევე ბათუმის ინტელიგენციის („აჭარის მამულიშვილთა კავშირი“) წარმომადგენლები. ხუცუბანში მონუმენტის აღდგენის იდეის ავტორი სიმონ ქორიძე ასევე დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში და აფასებს რუსებისა და ქართველების ერთობლივ წარსულს. „აჭარაში ყოველთვის დიდი სითბოთი ვეკიდებოდით რუსებს, რუსეთს, მაგრამ დღეს მაინც განსაკუთრებული დღეა — შეხედეთ ამ ხალხს, როგორი კმაყოფილები არიან, როგორი ენთუზიაზმი გამოამჟღავნეს“, — განაცხადა მან.

სიმონ ქორიძე, ირაკლი ჯაში, ნიაზ ბოლქვაძე, იოსებ წულუკიძე, როსტომ გუნთაიშვილი, ვლადიმირ ევსეევი, რევაზ მსხილაძე

ოთარ და იმედა თხილაიშვილები

დაღუპული მეომრების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდის შემდეგ, რომელიც მამა ნოე გუგუციძემ გადაიხადა, სტუმრებმა მოკლე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს. ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გულბაათ რცხილაძემ აღნიშნა: „იმ განმათავისუფლებელ ომში ბალკანეთისა და კავკასიის საომარ ფრონტებზე დაახლოებით 200 ათასი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. ჩვენ ამ ადამიანების გმირობა უნდა გვახსოვდეს და ვაფასებდეთ. ჩვენ აგრეთვე უნდა გვახსოვდეს, რომ რუსული არმიის შემადგენლობაში ქართველებიც იბრძოდნენ, მაშინ არ არსებობდა არავითარი გაცალკევება ეთნიკური ნიშნით — ყველა იბრძოდა საერთო საქმის, საერთო რწმენის, საერთო ხელმწიფის, საერთო თავისუფლებისათვის. ჩვენ უნდა დავასრულოთ რესტავრაცია და მოვუფრთხილდეთ ამ ადგილს, როგორც ჩვენს ერთ-ერთ ისტორიულ სიწმინდეს“.

სარესტავრაციო სამუშაოები მთლიანად 18 იანვარს, ციხისძირის ბრძოლაში დაღუპული მეომრების მორიგ წლისთავზე დასრულდება. სასაფლაოს შესასვლელში კი დამაგრდა აბრა წარწერით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე: **„მადლიერი აჭარა და სრულიად საქართველო არ დაივიწყებს განმათავისუფლებლებს“**.

ამირან ნაკაშიძე

◎ სარედაქციო ფოსტიდან

ფიქრი დღევანდელობაზე

რამდენიმე თვეში ასი წელი მისრულდება. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე მთავრობის შეცვლის ცოცხალი მოწმე გავხდი. ამ ცვლილებებით საზოგადოებაში იკვეთებოდა მოსაზრებები წინა და ახალი მთავრობის ავკარგიანობაზე, იყო წინა და ახალი მთავრობის საპირისპირო შეფასებები.

აქვე მინდა, მკითხველს შევახსენო: ხელმძღვანელის ძალაუფლება გიგანტური მანქანაა, რომლის ბერკეტების შეთანხმებულ მოძრაობაში მოსაყვანად დიდად განათლებული ადამიანის გონების ძალაა საჭირო (გოეთე).

ამ აზრზე მინდა, ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ.

როდესაც ქვეყანაში გახშირდა ოჯახური ძალადობა, პარლამენტი იღებს კანონს ამ ძალადობის აღსაკვეთად, მაგრამ, თავად დღევანდელ პარლამენტში არც ისე იშვიათია ძალადობა, დეპუტატებს შორის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა (მაგალითად, 26 დეკემბერს პარლამენტში გამართული ქუჩური ცემა-ტყეპა). ამიტომ ასეთ პარლამენტს მორალური უფლება არა აქვს ძალადობის შესახებ კანონი მიიღოს, რადგან თვითონ მოძალადეები არიან და ქურდი ქურდს ასამართლებდეს, — ეს ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, მიუღებელია.

მე ვეკითხები უსუფაშვილს და პარლამენტის წევრებს: თქვენმა ვაუმა რძლად ვაჟი რომ შემოგიყვანოთ ოჯახში, მისაღები იქნება თქვენთვის? მგონი, არა! მაშინ რატომ მიიღო პარლამენტმა კანონი, რომელიც ქართველი ხალხისთვის მიუღებელი კი არა, თავის მოჭრაა. ისინი არ იცნობენ ჩვენს წინაპრებს, არ კითხულობენ ისტორიას და ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტენ? ეს შემთხვევა, ჩემი აზრით, წარსულის უცოდინრობაა.

პარლამენტში იშვიათად როდი არიან ამპარტავანი ადამიანები. აი, რას გვთავაზობს დემოკრიტე: თუ კაცი ბევრს ლაპარაკობს და სურვილი არა აქვს სხვას მოუსმინოს, ეს კაცი ამპარტავანია, მოსწონს თავისი ნაქნარი, უმსგავსო დიდების მოყვარული, გულმაღალი და სწავლის მოთაკილეა. ეს ყველაფერი გვაფიქრებს და კითხვებს ბადებს დღევანდელი პარლამენტარების მიმართ.

ჩემი აზრით, კანონმდებელი უნდა იყოს კარგი ოჯახის შვილი, კარგი დედის გაზრდილი, რადგან დედა აყალიბებს ბავშვს ადამიანად. სადღეისოდ კარგი დედების არსებობაც იშვიათია, ჩვენი ქვეყანა პატარაა და ყველამ კარგად იცის ვინ ვინ არის.

კანონი ისე უნდა „გამოიჩეკოს“, რომ მასში ჩაიდოს ქვეყნის ინტერესები და არ უნდა შეილახოს ჩვენი ადათ-წესები, რომელიც სიცოცხლის ფასად შეგვინარჩუნეს ჩვენმა წინაპრებმა.

დაბოლოს: კანონმდებლის არაკომპეტენტურობა, ქვეყნის წარსულის უცოდინრობა და დაუფასებლობა ქვეყნის დამღუპველია.

დღევანდელი მთავრობის წევრები კომუნისტების დროს გაზრდილები არიან, მაშინ სწავლა და სამედიცინო მომსახურება უფასო იყო, უმუშევრობა საერთოდ არ იყო. სადღეისოდ ეს ყველაფერი არ არსებობს. გავიძახით, უკეთესები ვართო, დღევანდელ მთავრობას ვეკითხები, რითი?

ბოლოს ერთი იგავი მახსენდება: ახალშეუღლებულ ცოლქმარს უთხრეს, ერთი რამ ინატრეთ და შეგისრულებთო, დაიწყო მსჯელობა, ზოგი სიმდიდრის ნატვრას ურჩევდა, ზოგი კიდევ რას, მაგრამ პატარძალმა თქვა, —მოგვეცით ერთმანეთის დაყოლის ნიჭი, ეს იქნება ჩვენი ბედნიერებაო.

ეს იმიტომ გამახსენდა, რომ დღევანდელ ოპოზიციას და პოზიციას არა აქვთ ერთმანეთის დაყოლის და შეჯერებული აზრით ქვეყნის მართვის ნიჭი, რაც ჩემი აზრით, ქვეყნისვის დამღუპველია. ეს გამოწვეულია ხელმძღვანელთა ამპარტავნობით, რაც, კარგით არასდროს დამთავრდება, ვიფიქროთ ჩვენს საქციელზე, მიუღებელი დავგმოთ, მისაღები მივიღოთ!

კირილე ლაგვილავა

◎ ალიანჩალიანი

საკადრო ცვლილებები სხვა დაწესებულებებსაც შეეხება

ამის შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ბათუმის №3 დაწესებულების დირექტორის წარდგენის შემდეგ განაცხადა.

როგორც გიორგი მღებრიშვილმა განმარტა, საჯარო ინფორმაცია სასჯელაღსრულების დირექტორების დანიშვნის თუ მათი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ხშირად დაფარული იყო. მინისტრი აცხადებს, რომ აღნიშნული ინფორმაციები ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება:

„დღეს №3 დაწესებულების თანამშრომლებსა და მედიის საშუალებით საზოგადოებას ახალი დირექტორი წარვუდგინე. ჩემი მთავარი პრინციპია, დავამსხვრიო სტერეოტიპი, რაც მუდმივად პრობლემა იყო ამ სისტემის — ჩაკეტილობა, გაუხსნელობა, დაფარული ინფორმაციები. რაც საჯარო არის ყველასთვის ხელმისაწვდომელი იქნება. ისე ინიშნებოდნენ და იხსნებოდნენ დაწესებულების დირექტორები, რომ ამას ვერავინ ვერ იგებდა. მინდა, რომ მაქსიმალურად გამჭვირვალეები ვიყოთ“, — აღნიშნა გიორგი მღებრიშვილმა.

მისივე განმარტებით, ბათუმის №3 დაწესებულებაში 200-მდე პატიმარი იხდის სასჯელს და მათი პრობლემების შესახებ ინფორმაციას პირადად გაეცნობა.

ბათუმის ციხეში შეკრებილ თანამშრომლებს მინისტრმა ციხის დირექტორის პოსტზე კახა გველესიანის დანიშვნის შესახებ აცნობა. როგორც გიორგი მღებრიშვილმა განაცხადა, კახა გველესიანი ბოლოს მუშაობდა № 2 დაწესებულებაში დირექტორის მოადგილედ და იმედი აქვს, რომ ბათუმის №3 დაწესებულების დირექტორის პოსტზე წარმატებით იმუშავებს.

წარდგენას ესწრებოდა ბათუმის ციხის ყოფილი უფროსი ალექსანდრე პეტროსიანი, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ ციხეს ხელმძღვანელობდა. ჯერჯერობით უცნობია, სად დასაქმდება პეტროსიანი.

ინტერპრესი

◎ იმპორტირებული პროდუქცია

„კვლევის შედეგები მშვიდად ყოფნის საფუძველს არ გვაძლევს“

წლებია, რაც საქართველოს მოსახლეობა დიდი რაოდენობით მოიხმარს უცხოეთიდან იმპორტირებულ ხილსა და ბოსტნეულს. თუმცა, რამდენად უსაფრთხოა ჩვენი ჯანმრთელობისთვის იმპორტირებული პროდუქცია, ამაზე თითქმის არაფერი ვიცით. ორი თვის წინათ სურსათის უვნებლობის სააგენტომ ლაბორატორიულად გამოიკვლია იმპორტირებული და ადგილობრივი პროდუქცია. კვლევის შედეგად, პესტიციდების მაღალი შემცველობა აღმოჩნდა მხოლოდ ორი დასახელების პროდუქციაში.

საპირისპიროზე საუბრობს ანტიკორუფციული კავშირის ხელმძღვანელი **გია ბურჯანაძე**. მისი თქმით, რამდენიმე ათეული დასახელების პროდუქციაზე ჩატარებული კვლევის შედეგები მშვიდად ყოფნის საფუძველს სულაც არ გვაძლევს. „იმპორტირებული ხილ-ბოსტნეულის უმრავლესობა პესტიციდებითაა გაჯერებული. ბაზარზე გენმოდიფიცირებული პროდუქცია შემოდის. ამიტომ, მომხმარებელს არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეს — სავაჭრო დახლზე გასაყიდად გამოტანილ პროდუქციას მინაწერი უნდა ჰქონდეს, გენმოდიფიცირებულია თუ ნატურალური. სამწუხაროდ, ეს საკითხი კანონმდებლობით მოწესრიგებული არ არის. არაჯანსაღი პროდუქტის მიღებით ონკოლოგიური დაავადებები გაახალგაზრდავდა. საქართველო ბიოლოგიური ომის ერთ-ერთი მონაწილეა, სადაც დამარცხებული ვიქნებით, თუ შესაბამის კანონმდებლობას არ მივიღებთ,“ — ამბობს bpn.ge-თან საუბარში ბურჯანაძე.

რესპონდენტის თქმით, არასახარბიელო მდგომარეობაა იმპორტირებული ხორცპროდუქტების მხრივ: „ჩვენი ინფომაციით, იმპორტირებულ ხორცის ფარშში დაახლოებით 20-25% მინარევის სახით დაფშვნილი ძვალია. მომხმარებელი მოტყუებული რჩება, როცა ჰგონია ხორცის ფარშს ყიდულობს. იმპორტირებული ხორცის ფარში ფალსიფიცირებულია. სხვათა შორის, ადგილობრივი ხორცპროდუქტების კომპანიები სწორედ იმპორტირებულ ფარშს იყენებენ. ადგილობრივი წარმოების პროდუქცია ბაზარზე მხოლოდ 10%-15%-ია. რამდენიმე თვის წინათ, ბრენდული წარმოების 10 დასახელების ძეხვეულზე ტესტი ჩავატარეთ. საგანგაშო შედეგი მივიღეთ. ცხრა მათგანმა ფერი შეიცვალა — გაშავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პროდუქცია სახამებლით არის გაჯერებული. ნამდვილი ხორცი ფერს არ იცვლის. ჩვენი კვლევის შედეგად მხოლოდ ერთი დასახელების სოსისმა არ შეიცვალა ფერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ხორცისგან იყო დამზადებული, თუმცა, რა ხარისხის ხორცისგან იყო ეს დამზადებული, ვერ გეტყვით. ეს უმარტივესი ტესტია, რომელიც სახლის პირობებში ნებისმიერს შეუძლია ჩაატაროს. იოდის რამდენიმე წვეთს ვაპკურებთ ხორცს. თუ ფერი შეიცვალა ე.ი. სახამებლითაა გაჯერებული.“

სურსათის ეროვნულ სააგენტოში კი აცხადებენ, რომ ინფორმაცია იმის შესახებ თითქოს იმპორტირებული ხორცის ფარში ფალსიფიცირებულია, სიმართლეს არ შეესაბამება. სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოში ხორცპროდუქტების შემდეგი ქვეყნებიდან შემოდის — თურქეთი, ამერიკა, ბრაზილია, არგენტინა, კანადა, ჩინეთი, ინდოეთი. ასევე, ევროკავშირის და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან.

კახა სოხაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი: იმპორტისას სურსათის ეროვნული სააგენტო ადგილზე ახორციელებს საწარმოს ინსპექტირებას. მაქსიმალური სიზუსტით ვრწმუნდებით მწარმოებლის კეთილსინდისიერებაში. შედეგების განხილვის შემდეგ ხდება საქონლის შემოტანა. საზღვარზე ყოველ პარტიას ამოწმებენ, როგორც დოკუმენტურად, ასევე, ხდება იდენტიფიცირება და ლაბორატორიული შემოწმება. ამის შემდეგ ეძლევა უფლება პროდუქციას, რომ გადმოკვეთოს საზღვარი. როცა პროდუქცია ქსელში განთავსდება, მას იქაც ამოწმებენ. ეს საკითხი უკონტროლოდ ნამდვილად არ არის.

— ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ათი დასახელების ძეხვეულზე ტესტი ჩაატარა. ამბობენ, რომ შედეგები საგანგაშოა. თქვენს რას გვეტყვით?

— მე არ ვიცი, ეს კვლევა რამდენად კომპეტენტური იყო. იოდით ხდება სახამებლის დეტექტირება, ანუ იოდი ფერს იცვლის სახამებელთან შეხებისას. თუმცა, სახამებლის შემცველობა საკვებ პროდუქტებში აკრძალული არ არის. უბრალოდ, პროდუქციის ეტიკეტზე ინფორმაცია უნდა იყოს, რომ ეს სურსათი სახამებელს შეიცავს.

— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ მხრივ მომხმარებლები განებივრებულები არ ვართ. ამის შესახებ ინფორმაცია პროდუქციის ეტიკეტზე არ გვხვდება. ისიც არ ვიცით, ჩვენს მიერ შეძენილი პროდუქტი გენმოდიფიცირებულია თუ არა.

— წელს პირველად, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ლაბორატორიულად გამოიკვლია ის რისკსურსათი, რომელიც ინგრედიენტების სახით სხვადასხვა სურსათის დასამზადებლად არის გამოყენებული. მათ შორის, სოიო და მისგან წარმოებული პროდუქტები. ასევე, მცენარეული წარმოშობის ცხიმები. საბედნიეროდ, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველობა მათ შემადგენლობაში არ აღმოჩნდა.

— რაც შეეხება იმპორტირებულ გაყინულ თევზს. რამდენად უსაფრთხოა ეს პროდუქტი? ბოლო დროს პანგასიუსზე მუდმივად გვესმის, რომ ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებებს შეიცავს.

— პანგასიუსის მწარმოებელია ვიეტნამი, რომელიც საკმაოდ მსხვილი იმპორტიორია როგორც ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე, საქართველოშიც. ამ თევზის სახეობასთან დაკავშირებით შეკითხვები მართლაც გაჩნდა. ინფორმაცია ინტერნეტში გავრცელდა. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა უწყებიდან დაგვიკავშირდნენ. ნიმუში ავიღეთ და გამოვიკვლიეთ იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც ქართულ ლაბორატორიას აქვს. ჩვენს შემთხვევაში ყველა ნიმუში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს შეესაბამება.

— რაც შეეხება ხილ-ბოსტნეულს, რამდენ სახეობაზე ჩაატარეს კვლევა და როგორია შედეგები?

— დარღვევები არ არის. კვლევა 124 დასახელების პროდუქციაზე ჩატარდა. როგორც იმპორტირებულ, ასევე, ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე: კარტოფილი, ჭარხალი, მწვანილი, ვაშლი, ბანანი, გრეიპფრუტი, ფორთოხალი, ყურძენი, ნიორი, კივი, კომბოსტო, ნესვი და ა.შ. პესტიციდები ადგილობრივი წარმოების ორ პროდუქციაში, სტაფილოსა და ვაშლში აღმოჩნდა. ისიც ნორმის ფარგლებში. იმპორტირებულში საქმე გაცილებით უკეთ არის, ვიდრე ადგილობრივ პროდუქციაში. მინდა, გავაბათილო ის ეჭვები, რომ იმპორტული პროდუქტი საწამლავია. ეს ასე არ არის. რა თქმა უნდა, ქართული წარმოება უნდა გავაძლიეროთ და კონკურენტუნარიანი უნდა გავხადოთ.

— და ბოლოს, მომავალი წლიდან რა გეგმები აქვს სააგენტოს?

— სააგენტოს ვალდებულებაა სურსათის უვნებლობა, კონტროლი, რასაც ყოველდღიურ რეჟიმში გავაგრძელებთ. მომავალი წლისთვის იგეგმება საბავშვო ბაღების, სკოლების, სამკურნალო დაწესებულებების კვების ბლოკების, სოციალურად დაუცველ პირთა სურსათის მომარაგების საკითხების შემოწმება.

სალომე გოგოხია

◎ ალიან-ჩალიანი

ხუხაშვილს სჯერა, რომ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება

ექსპერტი გია ხუხაშვილი 2015 წელს საქართველოში მწვავე სამთავრობო კრიზისს ვარაუდობს. როგორც მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, ხელისუფლება ვერ უმკლავდება იმ გამოწვევებს, რამაც შეიძლება კრიზისი გამოიწვიოს.

„ხმაურიანი კრიზისი გარდაუვალია. გამოწვევებს, რამაც შეიძლება ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანოს, ხელისუფლება ვერ უმკლავდება. ხელისუფლებას კრიზისთან ბრძოლის გზები მოჭრილი აქვს. გარდაუვალია, რომ დადგება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი“, — განაცხადა გია ხუხაშვილმა.

მისივე თქმით, ხელისუფლება ვერ უმკლავდება ქვეყნის ვერც შიდა და ვერც საგარეო გამოწვევებს. მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მწვავე სამთავრობო კრიზისი დადგა, ბიძინა ივანიშვილს მოუწევს თავისი სიტყვის შესრულება და ხელისუფლებაში დაბრუნება.

მისივე თქმით, ხელისუფლების პრობლემები აისახა მრავალ საკითხში, მათ შორის, იმაში, რომ ინსტიტუციური მმართველობა ქვეყანაში ვერ დამკვიდრდა და ხელისუფლება ეპოტინება იმ მახინჯ სახელისუფლებო ბერკეტებს, რომელსაც ქმნიდა წლების განმავლობაში მიხეილ სააკაშვილი. „უფრო ჰუმანურია, დღევანდელი ხელისუფლება არ არის აგრესიული, მაგრამ, თუ სისტემა შენარჩუნდა, სისტემა ხელისუფლებას მძევლად აიყვანს და მერე უკვე ის კარნახობს თავის წესებს“, — განაცხადა ხუხაშვილმა.

ინტერპრესი

◎ დაგვიანებული პატივდება

ღვაწლმოსილ კინოს მოღვაწეთა უკვდავსაყოფად

განა შეიძლება ქვეყანას ისეთი ლეგენდარული მსახიობი ჰყავდეს, როგორიც სპარტაკ ბაღაშვილი იყო და ამ ქვეყანაში მისი სახელობის ქუჩა არ არსებობდეს, ან სკვერი, ან ძეგლი, ან ბიუსტი მაინც?! და არა მარტო მისი... აი, ასეთ საკითხებზე იყო ერთობ მწვავე საუბარი თბილისის კინოს სახლში, სადაც ის ღვაწლმოსილი კინემატოგრაფისტები გაიხსნეს, რომელთაც წლეულს დაბადებიდან ასი წელი შეუსრულდებოდათ. მათ შორის მსახიობები — სპარტაკ ბაღაშვილი, ბათუ კრავეიშვილი, გიგოლა თალაკვაძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი, კინოდოკუმენტალისტები — გიორგი ასათიანი და ალექსანდრე ძაგანია, კინოოპერატორები — არჩილ ფილიპაშვილი და არტურ პოლოსოვი, მულტიპლიკატორები — ვახტანგ ბახტაძე, ბორის სტარიკოვსკი, ოთარ ანდრონიკაშვილი, ხმის ოპერატორი დავით ლომიძე.

ამ პროექტის ავტორია კინომცოდნე გოგი დოლიძე, რომელიც უძღვებოდა კიდეც საღამოს. დამსწრე საზოგადოებას აჩვენეს ნაწყვეტები სასიქადულო მოღვაწეთა ფილმებიდან. ცრემლებს ვერ იკავებდნენ ს.ბაღაშვილის, ბ.კრავეიშვილის, ბ.სტარიკოვსკის, ი.ბაკაკურიძის თუ ე.ჩოხელის შვილები, რომლებიც მადლიერების გამოსახატავად გამოვიდნენ სცენაზე, სიამაყის გრძნობას ვერ მალავდნენ თავიანთი სახელოვანი ბაბუების გახსენებითა და ეკრანზე კიდევ ერთხელ ხილვით. ხსოვნის ეს დაუვიწყარი საღამო ფრიად საინტერესო მოგონებებით შეავსეს კინორეჟისორებმა მერაბ კოკოჩაშვილმა, ბუბა ხოტივარმა, ბაადურ წულაძემ, გივი ვეფხვაძემ, გიზო გაბესკირიამ, მსახიობმა იმედო კახიანმა, მოცეკვავე თენგიზ უთმელიძემ, თავადაც ღვაწლმოსილმა კინემატოგრაფისტებმა მოღვაწეთა ნონა ღამბაშიძემ, რეზო მახათაძემ, ლევან ყუფარაძემ, პოეტმა ნანა ცინცაძემ, კინოკრიტიკოსმა პაატა იაკაშვილმა, ჟურნალისტმა დავით ქობალიამ, „ფაზისის“ აკადემიის სახელით ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ. ფრაგმენტებს შორის სიმღერები ქართული კინოფილმებიდან შეასრულეს ვაზისუბნის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელებმა.

დაისვა საკითხი, რომ კინემატოგრაფისტთა შემოქმედებით კავშირში შეიქმნას საზოგადოებრივი აზრის საბჭო „მემკვიდრეობა“, რომელიც კოორდინაციას გაუწევს იმ კინოშემოქმედების პოპულარიზაციას, რაც წინა თაობებმა შეგვიქმნეს. საღამოს მონაწილეები აღფრთოვანებით შეხვდნენ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ასწლოვანი კინემატოგრაფისტების სახელზე კინოსოფელ ბროწეულაში, რომელიც თბილისის აეროპორტის მახლობლად მდებარეობს, გაშენდება ხეივანი, რომელსაც გაისად მიემატება უკვე 1915 წელს დაბადებული კინემატოგრაფისტების სახელზე დარგული ხეები შემდგომ წლებშიც ასევე გაგრძელდება.

ამ კეთილშობილურ საქმეში კინემატოგრაფისტებს თავისი ყოველმხრივი თანადგომა გამოუცხადა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, რაც თავყრილობაზე საგანგებოდ მიწვეულმა სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსმა კარლო ამიგულაშვილმა გაახმაურა.

ოთარ ტურაბელიძე



ის სახელმწიფოსა და კანონმდებლობისგან დაუცველია

დღეს საქართველოში ბევრს საუბრობენ ქალთა უფლებების შელახვასა და დაუცველობაზე, მაგრამ არავინ საუბრობს მათ კანონით დაუცველობაზე, რაც ბევრ უფლებაშელახულს თავად ხდის სხვათა უფლებების შემლახავად. დამნაშავეობის სოციოლოგიის სპეციალისტის ნაირა ძემაშვილის განმარტებით, სოციოლოგიური კვლევები ქალთა შორის დამნაშავეობის პრობლემებზე წინა წლებში სისტემატურად ტარდებოდა. თვით შევარდნაძის პერიოდშიც კი გვქონდა გამოკვლევები. მართალია, შედეგებზე რეაქციებით თავს არავინ იკლავდა, მაგრამ მეცნიერებს ხელთ ჰქონდათ რეალური მასალა, რომელზეც მუშაობდნენ.

ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სოციოლოგიური გამოკვლევები შეწყდა, ყველა გადაერთო რეიტინგულ გამოკითხვებზე, რომლებიც პოლიტიკური ხასიათის იყო, მთავრობა მხოლოდ ამგვარ კვლევებს აფინანსებდა. სოციოლოგებიც იძულებულნი იყვნენ, მხოლოდ ამგვარ შეკვეთებზე ემუშავათ. სოციოლოგიური კვლევების შედეგებზე მიღებული მეცნიერული დასკვნები და მათი ანალიზი „ვარდებით“ მოსულ ახალგაზრდა ხელისუფლებას აღარ აინტერესებდა და მათ „შევარდნაძის გადმონაშთად მოიხსენებდა“, ასკვნის სპეციალისტი. იგი მისი კოლეგების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით ამბობს, რომ ქალთა დანაშაულმა ნაციონალების ბატონობის პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა პროცენტულად. მის სტატისტიკასა და ანალიზს არავინ აკეთებდა, არა და შსს-ში სპეციალურად იყო შექმნილი ანალიტიკის დეპარტამენტი, რომელიც ამ საკითხთა ანალიზით უნდა დაკავებულიყო, მაგრამ ეს სამსახურიც იმჟამინდელმა ხელისუფლებამ პოლიტიკაში ჩართო.

მწირ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩვენი რესპონდენტი გვიყვება, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი კრიმინალურ დაჯგუფებაში ქალების მონაწილეობა. ამ შემთხვევაში ისინი ძირითადად არა ნაქურდალნაყაჩაღარის შემნახველ-რეალიზატორებად, არა მოძალადეებად, არამედ „საქმის მიმცემებად“, ოჯახში მოტყუებით შეღწევის აქტიურ მონაწილეებად გვევლინებიან.

მატებაა ქალთა მიერ მკვლელობების, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებების მიყენების მხრივაც. მათი უმტესობა საკუთარ თავზე არაერთგზის ძალადობამ მიიყვანა დანაშაულამდე. სისტემატური ძალადობა და დაუცველობის გრძნობა აიძულებდა სუსტი სქესის წარმომადგენელთ, თვითონ მოეძებნათ სამართალი.

დიდი ხანია, მიღებულია, რომ ნარკოტიკების შემომტანრეალიზატორებად სუსტი სქესის წარმომადგენლები გვხვდებიან. მათ მამაკაცები (ქმრები, დედ-მამის შვილები, ახლობლები) თავიდან აიძულებენ ნარკოტიკებით ვაჭრობას, შემდეგ კი ისინი საკუთარი სურვილით ხდებიან ნარკოკარტელის აქტიური წევრები. ყველაფერი კი ეკონომიკური სიდუხჭირისგან მომდინარეობს. ხშირ შემთხვევაში, ისინი ოჯახების მარჩენალნიც ხდებიან.

სავავალოა, მაგრამ ფაქტია, რომ ნარკომანიის გავრცელებასთან პროპორციულია მათში ახალგაზრდობის ჩართულობა.,მატულობს ქალ-მომხმარებელთა რიცხვი, ისევე როგორც არასრულწლოვან გოგონათა, ამბობს ჩვენი ინტერვიუერი და ყოველივეს წამბაძველობით ხსნის. ყველაზე საგანგაშოდ მას მიაჩნია „თრობის“ ახალი მეთოდის, ტოკსიკომანიის ფართოდ შემოჭრა (წებოს, ფეხსაცმლის საცხების და ა. შ ყნოსვა), „კაიფის“ ეს სახეობა ანადგურებს ზრდის პროცესში მყოფ ორგანიზმს (განსაკუთრებით გოგონებისას).

ჩვენთან მოსაუბრე ძალადობის იმ ფორმებზე საუბრობს, რომლებსაც ქალები სხვათა მიმართ (პირველ რიგში შვილების) იყენებენ. გახშირებულია, ამბობს ქემაშვილი, ხელმოკლე (ძირითადად ალკოჰოლსმიტანებული) ოჯახებიდან ბავშვების, თვით მცირეწლოვანებისაც კი სამუშაოდ გაგდება. უმეტეს შემთხვევაში ეს მათხოვრობაა. მცირე შემოსავლის მიტანის შემთხვევაში, მას უმოწყალოდ სცემენ, ხშირია ოჯახის წევრთა შორის კონფლიქტი. ქმარი ცოლს სცემს, ის კი — ბავშვებს.

ისევ ეკონომიკურ მდგომარეობას მიაწერს ჩვენი ინფორმატორი, ბავშვების უკანონოდ გასხვისების ფაქტებს. მართალია, ეს კანონით დასჯადია, მაგრამ მრავლადაა. არიან ოჯახები, სადაც შვილების გასხვისება ოჯახურ ბიზნესად არის ქცეული. შუამავალი, უმეტეს შემთხვევაში ქალია.

ძირითადად ქალი გვევლინება იმ პირად, რომელიც ტურისტულ სამუშაოზე წამსვლელ ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსულ ქალიშვილებს დასაქმების ნიღბით უცხო ქვეყნებში ერეკება. ისინი იქ, ზოგიერთი ნებით, ზოგიც ბედს შეგუებით, ძალაუნებურად ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდება, შემდეგ კი თავად მისდევენ ამ ბიზნესს — თვლის ანალიტიკოსი და ასევე ამატებს, რომ ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ყველა დაზარალებული სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ, უახლოეს გარემოცვასაც კი უმალავს თავს გადამხდარ უბედურებას.

ფსიქოლოგი **ნინო შერეზადაშვილი,** ქალთა მიმართ მომრავლებულ ძალადობის ფაქტებს (რამდენია გაუხმაურებული) საქართველოში შექმნილი ეკონომიკური სიდუხჭირითა და არსებული მენტალიტეტით ხსნის. ახალმა საზოგადოებრივმა ფორმაციამ, მამაკაცთა დიდ ნაწილს, ოჯახში ლიდერის როლი დაუკარგა, ამბობს იგი. ძლიერ სქესად და ოჯახის მარჩენალებად მიჩნეულებმა დაკარგეს სამსახური, შემოსავალი, გაჩნდა უიმედობისა და ნიჰილიზმის გრძნობა. ზოგი გალოთდა, ნარკოტიკებს მიეძალა, რამაც უმალ გააჩინა მეორე ნახევართა მიმართ ეჭვიანობის სინდრომი. დაინგრა მრავალი ოჯახი. მამაკაცებში გაჩნდა ეჭვიანობის გრძნობა, თვით უკვე ყოფილი მეუღლეების მიმართ. ზოგიერთი კი თვალთვალის მანიამ შეიპყრო.

ჩვენთან მოსაუბრე ამბობს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს ტერმინი „ქსენოფობია“ . ამგვარი რაღაც შეიძლება გაკეთდეს ქალთა მიმართ ძალადობის შესახებაც „ფემიციდი“ — ეს ტერმინი გამოხატავს ქალებზე ძალადობას. მათ მიმართ არასწორი, დაქვემდებარებული დამოკიდებულება, უმეტეს შემთხვევაში ოჯახური ძალადობის სათავეც კი არის.

მოძალადეებად არ იბადებიან, მათ გარემო ქმნის, იმეორებს ინტერვიუერი და იქვე დასძენს, რომ ძალადობა ოჯახში მარტო მსხვერპლსა და მოქალაქეზე კი არ მოქმედებს, არამედ ბავშვებზეც. ამგვარ პირობებში აღზრდილნი შემდეგ თვითონ ხდებიან საკუთარ ოჯახებში ძალადობის მოტივის მატარებელნი, ეს ტრადიცია კი თაობებს გადაეცემა, ამიტომაც ოჯახში ძალადობა მთელი საზოგადოების პრობლემაა და მას საზოგადოება ერთად უნდა ებრძოლოს.

ოფიციალური დისკრიმინაცია

ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის ერთ-ერთ მოტივად საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრ გუგული მახარაძეს მიაჩნია განათლების სისტემაში სხვა აქცენტების დანერგვა. მეტი სწავლების შეტანა ტოლერანტობასა და თანასწორობაზე. ტელეეკრანებიდან აჩვენონ მეტი წარმატებული ქალი, მათი ოჯახური იდილია.

ამ მხრივ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, თვლის პარლამენტარი, იგი საკითხისადმი სახელმწიფოს მიდგომასაც აკრიტიკებს და ნაკლად თვლის მაღალ თანამდებობებზე სუსტი სქესის წამომადგენელთა სიმწირეს. იქ მათი ყოფნა მამაკაცებში უფრო პატივსაცემ დამოკიდებულებას გააჩენს. დეპუტატი იმასაც აღნიშნავს, რომ ხშირად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, დომინირებს საკანონმდებლო ორგანოების აბსოლუტური უმრავლესობის, მამაკაცების მოსაზრება. ამ საკითზე კი ამ დროს სხვაგვარი მიდგომა, შეხედულება აქვთ მამაკაცებს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აღშფოთებულია, რომ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის 51% ქალია, მხოლოდ ერთი გამგებელია სუსტი სქესის წარმომადგენელი. მაღრაძის მოსაზრებით, სახელისუფლებო შტოების პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა გადაეცემათ სამართალდამცავებს, პოლიციაც ხომ საზოგადოების ნაწილია. მათ ხშირ შემთხვევაში სწორი დამოკიდებულება არა აქვთ საკითხისადმი და თვითონვე მიაჩნიათ, რომ მომხდარი (ძალადობა) ოჯახის საქმეა და მისი სააშკარაოზე გამოტანა არ ღირს. ამის გამო უგერგილოდ, ცალყბად ატარებენ შემოწმებებს, სასხვათაშორისოდ იძლევიან გაფრთხილებებს და ა.შ

სტატუსის გარეშე დარჩენილნი

იმის დასამტკიცებლად, რომ ხელისუფლება საერთოდ არ ზრუნავს ქალთა მდგომარეობაზე ისიც მოწმობს, რომ არც ერთ წინა ხელისუფლებას არ უფიქრია მარტოხელა დედებზე. მათ არა აქვთ სტატუსის განსაზღვრება, რომლის მოხედვითაც ამ კატეგორიის ადამიანებზე, მათ კეთილდღეობაზე სახელმწიფო იზრუნებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ კოორდინატორი **ელისო ამირეჯიბი** ამბობს, რომ მარტოხელა დედების შესახებ, არა თუ კანონი, დეფინიციაც კი არ არსებობს. მარტოხელებად მოიაზრებიან დედები, რომლებმაც შვილები გამოიყვანეს სამშობიაროდან და ბავშვის დაბადების მოწმობაში მამის გრაფა ცარიელია. ასეთი ქალებისა და ბავშვების რაოდენობა 2014 წლის მონაცემებით 31 000-ია. „ეროვნულმა ქსელმა“ მოამზადა კანონპროექტი, რომლითაც განსაზღვრულია „მარტოხელა დედის“ სტატუსი — ჰყავს შვილი (18 წლამდე), მამის გრაფაში ჩანაწერი არ არსებობს. აგრეთვე ქალი, რომელსაც აყვანილი ჰყავს ბავშვი 18 წლის ასაკამდე და აყვანის მომენტამდე ქორწინებაში რეგისტრირებული არ არის. არასამთავრობოს არც მამაკაცები დავიწყებიათ. „მარტოხელა მამის“ სტატუსის მისანიჭებლად იგივე მოთხოვნებია, რაც სუსტი სქესის წარმომადგენელთა მიმართ. პარლამენტში შესულია კანონპროექტი, რომელსაც აქტიურად განიხილავს ჯანდაცვის კომიტეტი, ამბობს ელისო ამირეჯიბი და თვლის, რომ პარლამენტი ამ საკითხის მიმართ მგრძნობიარე იქნება, რადგანაც ის ბევრ ქალსა და ბავშვს მოუხსნის იურიდიული სტატუსისა და სახელმწიფოს მხრიდან დახმარების პრობლემას.

ზაზა ბილიხოძე.

◎ წკეპლიკები

მალე ამოიძირკვებით

ნაციონალებო — ბოღმის, ძალადობის, ღვარძლის, ტყუილის, ენაბილწობის, კაცთმოძულეობის, გაუმაძღრობის, უმადურობის, უვიცობის, მოღალატეთა სექტავ, მალე, მალე ამოიძირკვებით. როგორც სარეველა ბალახი ქართული მიწიდან, გეშინოდეთ განკითხვის ჟამის!!!

დაგავიწყდა?

ინგა გრიგოლია, ნაციონალების რუპორო და იმედო, შენ თანაწამყვანებთან ერთად დაგავიწყდა, შეშინებული როგორ გარბოდი ტელეარხ „იმედის“ დარბევის დროს?

ლონდა მდივანი.

საიდან და რატომ შემოგვეჩვია გადამთიელი სანტა კლაუსი

საქართველო უფრო ასაკოვანია თუ სანტა კლაუსის — სამშობლო? რა გვჭირს საიმისო, რომ თოვლის პაპად უცხოელი სანტა კლაუსი მოვიწვიოთ, იმან გაგვილამაზოს შვილიშვილების საახალწლო ზეიმი, როცა ჩვენი, მშობლიური, არაჩვეულებრივი, ნაბდიან-ხურჯინიანი თოვლის პაპები გვყავს ფოლკლორიდან.

თენგიზ თომაძე.

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ოჩოზები

● **— პარლამენტში ცოცარი კიდევ ვინ გვყავს ბაჭია? — არ დაიბნა ბაჭია, ბობოხიძე ასწია.**

● **ე.წ.ოქროს პერგამენტი... „თუ ნიანგმა ჩემი მტერი შეჭამა, ეს არ ნიშნავს, რომ ნიანგი ჩემი მეგობარია“ (ძველეგვიპტური ანდაზა), მარა შენ ეს არ იცი იმიტომ, რომ პერგამენტი ხარ, თან ცარიელი. მეც ვაკრიტიკებ ხანდახან მთავრობას და ჯულიეტოვნას ლოგიკით, თვითონ ჩემი მეგობარი გამოდის. სრული უტვინოა პერგამენტა!**

● **Eka Kvesitadze ჩემო უუტიაშვილესო, მიუკერძოებელო და პროფესიონალო:,,,,, თან მაგარი ნაგლი! ჟვანიაზე გადაცემა რო გააკეთე, ნიჩურტები გქონდა? გაზით გაიგუდა, გაზით!) გურამ შარაძეც შვილის მეგობარმა მოკლა, სანდრო გირგვლიანი ასფიქსიით გარდაიცვალა, ბუტა რობაქიძე კრიმინალი იყო, პატიმრები ერთმანეთს აწამებდნენ, 2003 — 2012 წლებში ხალხი მაძღარი და ზებედნიერი იყო — გარეთ გასვლა არ ეშინოდა ხალხს, ამ ოცნებამ კიდე რა დღეში ჩაგვაგდო, ნუუუ! „იმედი“ რო შსს—ში შევარდა, მაგაზე გადაცემა როდის უნდა გააკეთო? ჰოდა, რა მინდოდა მეთქვა... ამ თემაზეც გააკეთე რა გადაცემა, რო მოიცლი. გაკოცეე . . .**

● **ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში სტენიდნენო. პიტნა ამ შემთხვევაში ალექსი პეტრიაშვილია, ნაწილობრივი ვირი - მე.**

● **ალასანიას მხარდამჭერი „ხელოვანები“-დან ერთს თუ მაინც იცნობთ, ხელოვნებისმცოდნე ბრძანებულხართ.**

● **დამოუკიდებელი საქართველოს თავისუფალო მოქალაქევ, შენ გულწრფელად ფიქრობ, რომ მჟავანაძე ყვარყვარე იყო, ხოლო მარგველაშვილი პრეზიდენტია?**

● **კოჟორიძე გინდა საიას აქით დააბი, გინდა საიას იქითო... - ნათქვამია.**

● **როგორც წამიკითხავს, ილია ჭავჭავაძეს ერთი უვარგისი მოურავი და რამდენიმე (ალბათ) მსახური ჰყავდა. ხომ არ იცით, რამდენი ადამიანი ემსახურება პრეზიდენტის სასახლეს და ცალკე პირადად პრეზიდენტს? (ბატონ პრეზიდენტს ბოდიშს ვუხდი შეუსაბამო პარალელისთვის.)**

● **ახლა ვიყავი გასვენებაში.. იქ ახალციხიდან და ბორჯომიდან ჩამოსულებს ველაპარაკე ..მოკლედ კიდევ დადიან ახალციხე-ბორჯომის ტერიტორიებზე მდ.მტკვარზე დენით და აგრძელებენ თევზის განადგურებას .. ერთმა დაჟე ისიც მითხრა, რომ კოკა-კოლას ბოთლში ასხამენ რაღაც სითხეს, ნემსით ხვრიტავენ წყალში აგდებენ და ხაშურთან ახლოს კი დაგებული ამოსასმელი ბადეებით ქვეყანა თევზს იჭერენო ... ეს სითხე არ ვიცი რა არის, მაგრამ ამის მეშვეობით ბევრი თევზი და წყალში მცხოვრები არსება ნადგურდება. საქართველოს მთავრობავ, ბოლოს და ბოლოს, ვინმემ მიხედეთ ამ პრობლემას!**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

უკრაინა-რუსეთის კონფლიქტი და საქართველოს როლი

პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი: საქართველო უკრაინასთან სოლიდარულია, მაგრამ მას მხოლოდ ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს

საქართველოს მონაწილეობა კონფლიქტში უკრაინაში შეზღუდულია მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებით და არ გულისხმობს სამხედრო მხარდაჭერას. ამის შესახებ 26 დეკემბერს პრესკონფერენციის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. უფრო მეტიც, სახელმწიფოს მეთაურმა გააკრიტიკა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური ძალა და მისი ლიდერი ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმისთვის, რომ ისინი, პრემიერის სიტყვებით, მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს „უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე, უარი თქვან საქართველოს შეიარაღებულ ძალებზე და გაემგზავრონ უკრაინაში, იმიტომ, რომ იქ ექნებათ დიდი ხელფასები“.

„ის, რასაც ყოფილი მთავარსარდალი აკეთებდა — ჩვენი ქვეყნის და ხალხის სირცხვილი და ღალატია... ერთადერთი, რაც სააკაშვილს აღელვებს — ეს არის ის, რომ საქართველოში მოხდეს კონფლიქტი, უწესრიგობანი და რომ საქართველო კვლავ ჩაერთოს შეიარაღებულ დაპირისპირებაში რუსეთთან“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

„არაფერი უცნაური არ არის“

პრესკონფერენციაზე საქართველოს პრემიერის მიერ გამოთქმული პოზიცია იყო მსგავსი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 20 დეკემბრის განცხადებისა, რომელიც ამოშალეს სამინისტროს ინტერნეტ-გვერდიდან მას შემდეგ, რაც მან საზოგადოებრიობასა და პოლიტიკოსებს შორის, მათ შორის, პრემიერ ღარიბაშვილისაც, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ ამ განცხადებაში სააკაშვილის პარტია გააკრიტიკეს ხელისუფლების მხრიდან „უპასუხისმგებლო მოწოდების გამო“ საქართველოს მოქალაქეების მიმართ — „მიიღონ მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში ქვეყნის ფარგლებს გარეთ... სხვადასხვა წინადადების ნაცვლად“. კერძოდ, თავდაცვის სამინისტრომ „მთლიანი პასუხისმგებლობა“ დააკისრა სააკაშვილის პარტიას ქართველი მოხალისის, 32 წლის ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაღუპვის გამო, რომელიც იბრძოდა უკრაინის ბატალიონ „აიდარის“ შემადგენლობაში და 19 დეკემბერს დაიღუპა ლუგანსკის ოლქის ქალაქ შჩასტიაში.

აღსანიშნავია, რომ სააკაშვილი უარყოფს ბრალდებას იმაში, რომ იგი და მისი თანაპარტიელები მოუწოდებდნენ სამხედრო მოსამსახურეებს წასულიყვნენ უკრაინაში, მაგრამ აცხადებს, რომ „ამაყობს“ იმათი გადაწყვეტილებით, ვინც იბრძვის საქართველოს და უკრაინის „საერთო საქმისთვის“.

„ამჟამად უკრაინა — ეს არა მხოლოდ ქვეყანაა, არამედ იდეაც. ყველა წესიერმა ადამიანმა უნდა იგრძნოს თავი უკრაინელად, ქართველებმა კი — მით უმეტეს. ჩემი სამშობლოს ბედი და არსებობა დამოკიდებულია იმაზე, გაიმარჯვებს თუ არა უკრაინა“, — განაცხადა ადრე სააკაშვილმა უკრაინის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში.

გაჩაღებული სკანდალის შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ღირსიაშვილმა განაცხადა, რომ განცხადება მოამზადეს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა, მაგრამ საბოლოო ტექსტი არ იქნა შეთანხმებული თავდაცვის მინისტრთან, მისი გამოქვეყნება კი მოხდა „ტექნიკური შეცდომის“ შედეგად.

როდესაც 21 დეკემბერს ჟურნალისტების წინაშე გამოდიოდა, ღარიბაშვილმა თქვა, რომ მასაც „არ მოეწონა“ თავდაცვის სამინისტროს განცხადება და რომ იგი მას „არ იზიარებს“. მაგრამ 26 დეკემბერს პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა შეცვალა თავისი პოზიცია, აღნიშნა, რომ ამ განცხადებაში „არაფერი უცნაური არ არის“.

„თავდაცვის სამინისტროს ასეთი განცხადება არ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ იქ, ამ განცხადებაში არაფერი უცნაური არ ეწერა“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანახმად, საქართველოს მოქალაქეები იბრძვიან როგორც უკრაინის, ისე სეპარატისტების მხარეზე, რომლებსაც რუსეთი უჭერს მხარს. რეპორტაჟში, რომელიც დეკემბრის დასაწყისში საქართველოს ტელეარხმა „რუსთავი-2“-მა მოამზადა, უკრაინის ცენტრალური ხელისუფლების მხარეზე მეომარი ქართველი მოხალისეები ამტკიცებდნენ, რომ არ ღებულობენ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისთვის ანაზღაურებას, ვინაიდან, მათი სიტყვებით, ისინი უკრაინაში იმყოფებიან იდეური მოსაზრებებით და „უკრაინაში საქართველოს ინტერესებს იცავენ“.

პუტინისა და რუსეთის შესახებ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა უარი განაცხადა უპასუხოს, როგორც მან აღნიშნა — ჟურნალისტის „პროვოკაციულ“ შეკითხვას იმის შესახებ, არის თუ არა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი „საერთო მტერი“ საქართველოს და უკრაინისთვის.

„ჩვენ პასუხისმგებლები უნდა ვიყოთ ყოველ ჩვენს განცხადებაზე. მე სახელმწიფო მეთაური ვარ და უნდა გავაკეთო ისეთი განცხადება, რომელიც სიკეთეს მოგვიტანს, და არა ისეთები, რომლებიც ზიანს მიაყენებენ ჩვენს ქვეყანას“,— აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამავე დროს პრემიერმა დაგმო რუსეთის მოქმედებები საქართველოს ურთიერთობაში და მათ „არაადეკვატური“ უწოდა. კერძოდ, ღარიბაშვილს მხედველობაში ჰქონდა 2015 წლის იანვრისთვის დაგეგმილი რუსეთთან სამხრეთ ოსეთის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების გაფორმება და მოსკოვის მიერ სოხუმთან ნოემბერში უკვე ხელმოწერილი შეთანხმება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომლის რატიფიცირებაც აფხაზეთის პარლამენტმა 22 დეკემბერს მოახდინა.

„ძალიან რთული სიტუაციაა, ვინაიდან, მიუხედავად ჩვენი კონსტრუქციული პოლიტიკისა რუსეთთან ურთიერთობაში, რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული ნაბიჯი იყო, მე ვიტყოდი, მეტად არაადეკვატური... ეს მეტად ცუდი სიგნალია... რომელიც სარგებლობას არ მოუტანს ორმხრივ უთანხმებებს...

ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ მოგვეხდინა ჩვენი ურთიერთობების მოწესრიგება და ყველაფერი გადაგვეტანა კონსტრუქციულ ფარგლებში. ჩვენ ვიყავით და კვლავაც მაქსიმალურად კონსტრუქციულები ვიქნებით... მაგრამ ამ დროს ვიყავით და კვლავაც ვიქნებით პრინციპულები ისეთ საკითხებში, როგორიცაა ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები. ჩვენ არ ვაპირებთ წავიდეთ კომპრომისზე ჩვენი ტერიტორიების ხარჯზე“ — განაცხადა ღარიბაშვილმა.

მან ასევე განაცხადა „მზადყოფნის შესახებ“ შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტს, თუმცა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა „ძალიან კარგად უნდა დაიგეგმოს და მომზადდეს“.

„მიგვაჩნია, რომ შეხვედრა არ უნდა გაიმართოს შეხვედრის გულისთვის. ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი იმის შესახებ, როდის და რა ფორმატით გაიმართება ეს შეხვედრა“, — თქვა ღარიბაშვილმა პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე 18 დეკემბერს განაცხადა, რომ „თუ საქართველოს ხელმძღვანელობა მიიჩნევს შესაძლებლად“, მოსკოვში „მოხარულები იქნებიან“, იხილონ საქართველოს ლიდერები. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ მოსკოვს არა აქვს განსაზღვრული, განიხილოს თბილისთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

აშშ-ის და ნატოს შეიარაღებულმა ძალებმა ავღანეთში სამხედრო ოპერაცია დაასრულეს

2015 წელს ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყანაში ახალ მისიას დაიწყებს, რომელიც ორიენტირებული იქნება ავღანეთის მართლწესრიგის ძალებისა და არმიის სწავლებაზე კონსულტაციასა და დახმარებაზე. წინა დღით პენტაგონის პრესმდივანმა ჯონ კირბიმ განაცხადა, რომ ოპერაციის სახელწოდება იქნება „თავისუფლების დარაჯი“.

ინდოეთში ქირურგებმა 7 წლის ბავშვს 80 კბილი ამოუღეს

ასეთი ანომალიის თავიდან ასაცილებლად ექიმებს ოთხი საათი დასჭირდათ. დოქტორმა ბარატ მახეშვარიმ განაცხადა, რომ ბიჭი მიიყვანეს საავადმყოფოში ხუთი დღის წინათ ყბაში ჩირქგროვით. შედეგად მას აღმოუჩინეს რთული ოდონტომი, რომლის დროსაც ერთ ღრძილში ბავშვს ჩამოუყალიბდა უამრავი ზედმეტი კბილი.

ინდონეზიაში განაახლეს დაკარგული თვითმფრინავის „აირაზიას“ ძებნა, რომლის ბორტზეც 162 კაცი იმყოფებოდა

ბორტზე იმყოფებოდნენ 155 ინდონეზიელი, 3 სამხრეთი კორეის მოქალაქე, ერთი დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომი, ერთი მალაიზიის მოქალაქე, ერთი სინგაპურელი და ერთიც ფრანგი. მათი ბედი ამჟამად უცნობია.

ცუდი ამინდი ხელს უშლის ბორან „ნორმან ატლანტიკიდან“ ევაკუაციას, მის ბორტზე ათობით აღამიანი რჩება

ადრე რომში სამაშველო ოპერაციის ცენტრის გადაწყვეტილებით იტალიელმა სამხედროებმა დაიწყეს მგზავრების ევაკუაცია. მაგრამ ცუდი ამინდის გამო ხალხის გამოყვანა ხერხდება მხოლოდ ჰაერიდან. ამის გამო სამაშველო ოპერაცია მიმდინარეობს მეტად ნელა. იტყობინებიან ერთი დაღუპულის შესახებ — ის საბერძნეთის მოქალაქეა.

ხორვატებმა პირველ ტურში ვერ შეძლეს, აერჩიათ პრეზიდენტი

ბიულეტენების 99,87 პროცენტის დამუშავების შემდეგ სახელმწიფოს ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა ივო იოსიპოვიჩმა ხმების 38,49 პროცენტი მიიღო, მისმა უახლოესმა მეტოქემ, მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის „ხორვატიის დემოკრატიული თანამეგობრობის“ წარმომადგენელმა კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩმა — 37,18 პროცენტი.

SIC!

ტრიპტიქი, ანუ კარედი

ეს სკანდალური ტრიპტიქი, ანუ, ქართულად რომ ვთქვათ, კარედი, ვფიქრობ, მრავალმხრივ საყურადღებოა, მათ შორის მამხილებელი ფოტოთიც, რამეთუ პირთამდე სავსე ორი სათლით (ვედროთი) ექს-პრეზიდენტს ადევნებული ტიპი გახლავთ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციის დღევანდელი უფროსი ზვიად ჯავახია, რომელიც არც თუ კეთილი სახელით სარგებლობს ქუთაისში.

ბატკნის ქურქს ამოფარებული ასეთი ჩინოვნიკები ნაციონალებს საგანგებოდ ჰყავთ ჩანერგილი ქვეყნის ხელმძღვანელობის სხვადასხვა რგოლის მმართველობით ორგანოებში, რათა თავიანთი ძირგამომთხრელი საქმიანობით მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვიონ.

სკამს ვერავინ აახია...



კახეთთან ბევრი რამ მაკავშირებს, მათ შორის ორი განსაკუთრებულია – გურჯაანის რკინიგზის არასრულ სკოლაში ყრმობისას გატარებული რამდენიმე წელიწადი, რომელმაც განუყრელი მეგობრები შემძინა და, მეორე, – ზუსტად 35 წლის წინათ ჩემს გუნდთან ერთად დარისხებული „კაკაბეთის ზარები“. ზემოთქმულის გამო მეგობრების შვილებთან და შვილიშვილებთან – კახეთში მოღვაწე ჩემს უმრწემეს კოლეგებთან დღემდე მრავალფეროვანი, მათ შორის პროფესიული ურთიერთობა მაკავშირებს. ამიტომ ოდნავ არ გამკვირვებია უცნობი ახალგაზრდის შემოხმიანება და მისგან ინტერნეტით მოწოდებული ფოტოკადრი, რომელზეც სხვებთან ერთად აღბეჭდილია ყურძნით სავსე ორი სათლით ხელდამძიმებული ის ბიუროკრატი, ვინც რიონისპირა ქალაქში მერია მოსახლეობისათვის, მათ შორის სხვადასხვა სამსახურის მიერ კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით დაბარებული საპატიო მოქალაქეებისათვის შეუღწევადი გახადა.

ეტყობა, ამითაც აიხსნება, რომ დღემდე უცნობი ფოტოს ნახვამ ჩემში იმის არც თუ უსაფუძვლო ეჭვი დაბადა, რომ შენიღბული ნაციონალის მიერ მოსახლეობის ფრიად გამაღიზიანებელი მრავალი ქმედება შემთხვევითი ისევე არ არის, როგორც ყურძნით სავსე ორსათლოსანის მლიქვნელური სურვილი, რომ უჩვეულოდ სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ექს-პრეზიდენტს როგორმე არ ჩამორჩეს.

საინტერესოა, რთვლის შემდგომ მიხოს მარანში ისეთი რა ღვინო დაწურეს „ცოცხოსნებმა“, რომ მისი ბანგით კვლავაც ძალზე ბევრი ჰყავთ გაბრუებული და „ქართული ოცნების“ საშუალო რგოლის თავკაცები არაერთგან, მათ შორის, ქუთაისშიც დააჯერეს, რომ ბატკნის ქურქგადაცმული მგლები მათი ერთგული თანაგუნდელები არიან?

ორი სონეტი

ორსათლოსანი

არ იკითხოთ, გაცნობთ რადა,
თვალნათლივ და ასე ღიად,
ვინც მერია დაგმანა და
ყაჭა-პარკად აახვია.
სტუმარს შესვლა რჩება ნატვრად,
ვახ, ქუთაისს, ამ ახვრიანს,
მმართველ გუნდში რაკი გატყვრა,
სკამს ვერავინ აახია;
თუმცა, მისი ჯოხიც გატყდა; –
მიხოს რთველში ნანახია!

შეგონება

ავდრის შემდგომ როცა დარი სადარია,
გაიძვერა შინა მტერი სად არ მოვა,
რადგანაც იმ ტარტაროზმა აატროვა,
ვინც ცდილობს, რომ
დაგვანგრიოს, როგორც ტროა.

როცა რამე ამ მზაკვრობის სადარია,
ნუმც იკითხავ: საქმე ვინ და რად არია?!
სიგლახისთვის რაკი მუდამ მზად არიან,
თავად მიხვდი, ის ბაცნები სად არიან,
სატანამ რომ მონუსხა და გადარია!

ალექსანდრე შენგელია.

ნახვამდის, ორი ათას თოთხმეტო, გამარჯობა, ორი ათას თხუთმეტო!

ქვეყნის ხვალინდელ მშენებელთა ზეიმზე

სად იყო ამდენი გასხივოსნებული და ღიმილიანი სახეები, რომელმა დარბაზმა და მოედანმა დაიტია ქართლის მთავარი ქალაქის წინასაახალწლო ზეიმის მონაწილენი! ჯერ იყო და მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრმა გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო ფოტონამუშევარზე. თემატიკა თქვენვე შეარჩიეთო – ადამიანი და ბუნება, საზოგადოება და ჩვენ, მოზარდის სამყარო, სიხარული და ტკივილი, ოცნება და რეალობა, მოკლედ არჩევანი თქვენიაო.



ფოტოკონკურსი ამით არ დასრულებულა. ჟიურიმ ფოტომოყვარულთა პაექრობას საინტერესო გაგრძელება მოუძებნა და ახალგაზრდა ლიტერატორები მიიწვია ესეების კონკურსზე, რომელიც წარმოდგენილი ფოტოების თემატიკაზე დაიწერებოდა.

473 ფოტოდან საკონკურსოდ შეირჩა 89 ნამუშევარი, რომელიც გორის სასწავლო უნივერსიტეტის ფართო ფოიებსა და დერეფნებში გამოიფინა. ფოტომოყვარულთა – გორის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრები 500-მდე ადამიანმა დაათვალიერა – გორის საჯარო და ახლომახლო სოფლის სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა, მოსწავლეებმა, ახალგაზრდობამ.

კონკუსრის შედეგები უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საზეიმოდ გამოცხადდა. ჟიურიმ საუკეთესო ფოტოს ავტორად დაასახელა ქალაქის №3 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე, 16 წლის ანა ბარჯაძე.

ოვაციით შეხვდა დარბაზი ქალაქის №12 საჯარო სკოლის XI კლასელის, 15 წლის სალომე მარგველაშვილის და №6 საჯარო სკოლის XI კლასელის თამთა გაგნიძის გამარჯვებას.

დააჯილდოვეს „ჟიურის სიმპათიის“, „ ჩემი მუზის“ და სხვა ნომინაციებში წარმატებულები.

გამარჯვებულებს მიულოცეს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერმა ზურაბ ჯირკველიშვილმა, ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ პაპუნა კობერიძემ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორმა ალექსანდრე ვალიაურმა.

ულერდა მუსიკა, ცეკვავდა დარბაზი, კიდევ ერთი დღით მოგვიახლოვდა ახალი, 2015 წელი.

გურამ ვაშაკიძე.
„სრ“ საკ კორ. გორი

ალიანჩალიანი

განახლებული ნაგავსაყრელი სამტრედიაში

სამტრედიის მუნიციპალიტეტს განახლებული ნაგავსაყრელი მოემსახურება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, პოლიგონის კეთილმოწყობის მიზნით ჩატარებული სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ გიორგი კობერიძემ, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა და საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში მთლიანად შემოიღობა ნაგავსაყრელის ტერიტორია. მოეწყო პოლიგონზე მისასვლელი გარე და შიდა გზები, ასევე მოხდა ტერიტორიის ელექტრიფიცირება.

აღნიშნული ნაგავსაყრელი სამტრედიის მუნიციპალიტეტთან ერთად ვანის, ხონისა და აბაშის მუნიციპალიტეტებს ემსახურება.

პროექტის ღირებულება 559.900 ლარს შეადგენს და ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

ახალი წლისა და შობის ღამეს მეტრო და რიყის საბაგირო უფასოდ იმუშავებს

როგორც დედაქალაქის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა პაატა ჯაჭვლიანმა განაცხადა, 31 დეკემბერს, 24:00 საათიდან, 1 იანვრის 04:30 საათამდე და 6 იანვარს, 24:00 საათიდან 7 იანვრის 04:30 საათამდე, მეტროპოლიტენი მუშაობას გაახანგრძლივებს, მგზავრებს უფასო გადაადგილება აღნიშნულ დღეებში 23:00 საათიდან 04:30 საათამდე შეეძლებათ.

რაც შეეხება საბაგიროს „რიყე-ნარიყალა“, მისი მუშაობა გახანგრძლივდება 31 დეკემბერს 23:00 საათიდან 1 იანვრის 03:00 საათამდე და აღნიშნულ პერიოდში მგზავრობა უფასო იქნება.

საბავშვო ბაგა-ბაღებში ზამთრის არდადეგები დაიწყო

შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში 29 დეკემბრიდან 2015 წლის 11 იანვრის ჩათვლით ზამთრის არდადეგები გამოცხადდა.

თბილისის მთავრობის სხდომის დადგენილებით, სასწავლო პროცესი 12 იანვრიდან განახლდება.

ავტოსაგზაო შემთხვევა თურქეთში

თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ რიზეში, არდეშენის რაიონში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, სანაპიროს გასწვრივ მოძრავ მსუბუქ ავტომობილს 40 წლის გიორგი ფანცხავა მართავდა. ავტოსატრანსპორტო საშუალება ბარიერებს შეეჯახა, რომლის ნაწილებიც მანქანის სალონში შევიდა და მგზავრები დააზიანა.

შეჯახების დროს ადგილზე გარდაიცვალა მძღოლი, ხოლო მგზავრი ნუგზარ ბრეგაძე დაშავდა. მომხდართან დაკავშირებით თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლები გამოძიებას აწარმოებენ.

ინტერპრესი

◎ ჭადრაკი

ნიგალიძის საახალწლო ნობათი

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი AL Ain Classic, რომელშიც საქართველოს ოთხი წარმომადგენელიც მონაწილეობდა. ბათუმის საჭადრაკო კლუბ „ნონას“ წევრმა გაიოზ ნიგალიძემ 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და მთავარი პრიზი – სოლიდური ფულადი ჯილდო დაიმსახურა), თანაც, რეიტინგი 30 პუნქტით გაიმდიდრა. გაიოზ ნიგალიძე საქართველოს ორგზის ჩემპიონია, რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, ქვეყნის ვაჟთა ნაკრების შემადგენლობაში ტრომსოში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე იასპარეზა, „ნონასთან“ ერთად საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგო და საამიროებშიც ამ კლუბის დახმარებით გაემგზავრა.

ტურნირზე 7-7 ქულა მოაგროვეს ტიგრან პეტროსიანმა (სომხეთი), ვლადიმირ ონიშჩუკმა (უკრაინა) და სერგეი ჟიგალკომ (ბელარუსი), რომლებმაც უარესი კოეფიციენტით, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს. მიხეილ მჭედლიშვილი 6 ქულით მე-20 ადგილზე გავიდა, ლუკა პაიჭაძეს 5,5 ქულით 30-ე, ბაჩანა მორჩიაშვილს კი 4,5 ქულით 67-ე ადგილი ხვდა.

გივი გაგუა

◎ დაჯილდოება

სამინისტროს რჩეულნი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მსგავსად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომაც დაასახელა თავისი რჩეულნი. დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელიც ფილარმონიაში გაიმართა, 10 ნომინაციაში გამოვლინდნენ საუკეთესოები, 7 პიროვნებას კი სპეციალური პრიზები გადაეცა. წლის №1 სპორტსმენად ძიუდოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი დაასახელეს. „საუკეთესო მსაჯის“ ნომინაციაში ედიშერ მაჩაიძემ (ჭიდაობა) გაიმარჯვა – წლეულს ფილამ მას „ოქროს სასტვენი“ გადასცა, როგორც გამორჩეულ არბიტრს. საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენად თანატოლებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი, ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ბექა ღვინიაშვილი ცნეს. საუკეთესო გუნდად ძიუდოს ეროვნული ნაკრები, საუკეთესო მწვრთნელად კი მისი დამრიგებელი ირაკლი უზნაძე მიიჩნიეს. მანდილოსნებში სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებული ნინო ოძელაშვილი გამოარჩიეს, საუკეთესო მენეჯერის სახელი ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ გიორგი გიორგაძეს ერგო. მისი დამსახურებაა, რომ საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება გაიმართა, მათ შორის ფიდეს ქალთა გრან პრის ეტაპი, მსოფლიოს ჩემპიონატები რაპიდსა და ბლიცში, ნონა გაფრინდაშვილისა და მაია ჩიბურდანიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირები. მისი დიდი ძალისხმევით 2015 წელს თბილისი ფიდეს ვაჟთა გრან პრის მე-3 ეტაპს უმასპინძლებს, ხოლო 2018 წელს ბათუმში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა გაიმართება. რჩეულ ფედერაციად რაგბის კავშირი აღიარეს, საუკეთესო პარასპორტსმენია მკლავჭიდში მსოფლიოს ჩემპიონი ბესიკ ლეკიაშვილი, არაოლიმპიურ სახეობებში საუკეთესოდ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ვახტანგ ჩიდრაშვილი (სამბო) დაასახელეს.

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვეს: ეკონომიკის სამინისტრო (მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი) – ხელოვნური თოვლის აგრეგატის შემოტანა-დამონტაჟებისთვის, რაც დიდი სტიმულია სამთო ტურიზმის განსავითარებლად. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - საუნივერსიტეტო სპორტის განვითარებისა და მისი სარაგბო კლუბის მიერ მოპოვებული ევროწარმატებისთვის; საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი დავით რურუა) - სპორტის კონკრეტული სახეობის პოპულარიზაციისთვის; მიმდინარე წლის აღმოჩენად კანოეში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს მედალოსანი ზაზა ნადირაძე დაასახელეს, რომელმაც ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს პირველი მედალი მოუტანა. წარმატებულ სპორტსმენთა აღზრდისთვის სპეციალური პრიზი გადაეცა სახელოვანი ძიუდოისტების დამკვალიანებელ გურამ მოდებაძეს, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის კი - გენერალ შოთა გორგოძეს. სპორტის ლეგენდად ლევან თედიაშვილი დაასახელეს, რომელსაც „იბერია ბიზნეს ჯგუფმა“ მანქანა უსახსოვრა. საუკეთესო ლეგიონერის სახელი კალათბურთელ ზაზა ფაჩულიას ერგო.

ლექსო ცინცაძე

◎ კარატე

სეზონის ბოლო აკორდი

მოგეხსენებათ, რომ კარატე უამრავ მიმდინარეობას აერთიანებს, თუმცა ოლიმპიურ სახეობად რატომღაც დღემდე ვერ იქცა.

სასიამოვნოა, რომ ჩვენ ხშირად გვიწევს თანამემამულეთა წარმატებებზე წერა, რაც, ვიმედოვნებთ, მომავალ სეზონშიც გაგრძელდება.

ახლა კი, მოდით, ჩაროზად „ჯვაროსანთა“ ირანულ ვიზიტსა და, რაც მთავარია, სიჩაუქეზე დავასველოთ სიტყვა.

ამ დღეებში თეირანში გაიმართა XI ტრადიციული „ა“ კლასის საახალწლო საერთაშორისო ტურნირი, სადაც 10 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ,მათ შორის – 3 ქართველი.

აღსანიშნავია, რომ მათგან ორი სამშობლოში მედლით დაბრუნდა. განსაკუთრებით შოტოკან კარატე-დოს კონფედერაციის უფროსმა ინსტრუქტორმა, IV დანის მფლობელმა მზეჭაბუკ მახარაძემ ივაჟკაცა, რომელმაც უფროსთა ინდივიდუალურ კატაში II ადგილი დაიკავა.

ოსტატს ღირსეულად აუბა მხარი 10 წლის შეგირდმა ანდრია კარბაიამ, რომელიც თანატოლთა ინ-

დივიდუალურ კატაში საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა.

დავძენთ, რომ საერთო ჩათვლაში „ჯვაროსნებმა“ III ადგილი დაიკავეს მასპინძელთა და ერაყელთა შემდეგ.

გიორგი შოთაძე

◎ გაიოზ ჯეჯელავა – 100

ფინტების დიდოსტატი

ახლახან რომ ვირეოდით პელე-ვავა – გარინჩაზე, უფრო ადრე ჩვენ არ გვყავდა ჯეჯელავა – პაიჭაძე?

(სალხური)

ვანო ჯეჯელავა სამჯერ მივიდა სამშობიაროში და ამდენჯერვე ბედნიერი დაბრუნდა შინ – ახალგაზრდა მამას ექიმებმა სამი მუშკეტერი გაატანეს სახლში: 1914 წლის 20 დეკემბერს ჯეჯელავების ოჯახში ქართული ფეხბურთის ლეგენდის გაიოზის აკვანი დაირწა, ხოლო მოგვიანებით სპარტაკი და ჯუანშერი მოევლინნენ ქვეყანას.

თბილისის „დინამოს“ სახელოვანმა მარჯვენა გარემარბმა საყვარელი გუნდის მაისური საკავშირო ჩემპიონატების 145 შეხვედრაში მოირგო და მეტოქეთა კარის ბადეში ბურთი 67-ჯერ გაახვია, მაგრამ ვერცერთი გოლი ვერ გადაწონის იმ სიამოვნებას, ფინტების დიდოსტატის დადგმული სპექტაკლები რომ ანიჭებდა გულშემატკივარს.

ქართული ფეხბურთის მარად კაშკაშა ვარსკვლავზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მის მიერ სხვადასხვა სტადიონებზე შესრულებულ საცირკო ნომრებს, მაგრამ ამჯერად უპრიანად მიგვაჩნია მკითხველის ყურადღება იუბილარის შეფასებებზე გავამახვილოთ.

როცა ფეხბურთის კარუზოს ბორის პაიჭაძეს ჰკითხეს, ვის მხარდამხარ ისურვებდით თამაშსო, ასეთი პასუხი მიიღო: „გაიოზ ჯეჯელავას, სლავა მეტრეველის, ავთანდილ ღოღობერიძისა და მიხეილ მესხის გვერდითო“.

ცნობისთვის: 2015 წლის 3 თებერვალს ბორის პაიჭაძესაც 100 წელი შეუსრულდებოდა.

გაიოზ ჯეჯელავა სტუმრად გაზეთ „თბილისის“ რედაქციაში. მარცხნიდან – ზაურ მაისაია, მირიან ჭიჭინაძე, დავით იაკობაშვილი, გრიგოლ გვაძაბია, შალვა მირიჯანაშვილი, დავით მელუხა, შალვა ქირია.

არანაკლებ ნიშანდობლივია მოსკოვის „დინამოს“ პოპულარული თავდამსხმელის ვასილ ტროფიმოვის სიტყვები: „გაიოზ ივანოვიჩის ტექნიკა ბრაზილიელ გარინჩასაც შეშურდებოდაო“, ხოლო მისმა თანამემამულემ, ცნობილმა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ ასეთი სტრიქონები უძღვნა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ მესაძირკვლეს:

„ი კაკ პრეკრასენ ტვოი, ბერიოზა,
ლეტიაშჩიი პო ვეტრუ ლისტოკ,
პრეკრასენ ბილ უდარ გაიოზა,
„სუხიმ ლისტომ“ ნაისკოსოკ“.

დაბოლოს, კიდევ ერთი საგულისხმო ეპიზოდი ჯეჯელავას ბიოგრაფიიდან: მოგეხსენებათ, საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ იგი მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდის – ვვს-ის მთავარი მწვრთნელი გახდა. როცა ვასილ სტალინმა თავისი საკურატორო გუნდის თავკაცი კრემლში მამას წარუდგინა, ბელადმა ვაჟიშვილს და სტუმარს განუცხადა: „საიდან გამოჩხრიკე ეს ქართველი? ვიცი, ვიცი, ეს გაიოზ ჯეჯელავაა. იქ კიდევ ერთია – პაიჭაძე. თქვენ მართლაც კარგად გამოგდით საქმე. როცა გუნდი იგებს, მაშინ წერენ, რომ სასწაულებს ახდენთ მწვანე მინდორზე, ხოლო როცა აგებთ, მაშინ დასძენენ, რომ თქვენმა მონდომებამ შედეგი ვერ გამოიღო“.

შალვა ქირია,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

◎ თაობათა გადაძახილი

წლები მათი სიმდიდრეა

30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (მაშინდელი ინსტიტუტის) ფიზალზრდისა და სპორტის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ვახტანგ ბაქანიძემ პროფესორ-მასწავლებელთა საფეხბურთო ნაკრები ჩამოაყალიბა.

ექიმთა გუნდს იმთავითვე დაებედა წარმატებები. რესპუბლიკის

მასშტაბით მოპოვებულ გამარჯვებებზე რომ არაფერი ვთქვათ, ტკბილად გასახსენებელია ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლების სპარტაკიადაზე დაკავებული პირველი ადგილი, რომლის ფინალშიც მომავალმა მედიკოსებმა ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები დაჯაბნეს – 5:1.

სიამოვნებით შეგახსენებთ ჩემპიონთა ვინაობას: თამაზ გელოვანი, ჯემალ მონიავა, ზურაბ გვენეტაძე, დავით შენგელია, თემურ მახარაძე, პალიკო კასრაძე, ირაკლი ქართველიშვილი, ზაურ ფხალაძე, მერაბ მაღლაკელიძე, სოლომონ ნოზაძე, ავთო მიქაბერიძე, მერაბ კოვზირიძე, დავით მანჯგალაძე, გოგი ჩახუნაშვილი, მოთამაშე-მწვრთნელი ვახტანგ ბაქანიძე. მათთან ერთად თსსუ-ს სპორტულ ღირსებას იცავდნენ პაატა ქევხიშვილი, პაატა ხაჭაპურიძე, გიორგი ჭირაქაძე, ცოტნე გახოკიძე, თემურ ჩიტორელიძე, ზაზა სოფრომაძე, სოსო ბრეგვაძე, იური გოგიაშვილი და ოთარ ჭინჭარაული.

* * *

ამ დღეებში წინამორბედთა სასახელო ტრადიციებსა და საიუბილეო თარიღს მიეძღვნა თსსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის ზაურ ფხალაძის თანადგომითა და ამავე ცენტრის თანამშრომლის, ექიმთა ნაკრების მწვრთნელის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის ვახტანგ ბაქანიძის ორგანიზებით გამართული ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც თსსუ-ს 8 საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა.

გაუწყებთ გადამწყვეტი მატჩების შედეგებს.

ნახევარფინალი. „ნიგერია“-„ზევსი“ 5:3, „რეალი“-„სელესაო“ 4:3.

შეხვედრა III ადგილისთვის. „სელესაო“-„ზევსი“ 3:2

ფინალი. „ნიგერია“-„რეალი“ 7:4.

რაც შეეხება ღონისძიების გამორჩეულ მონაწილეებს, პროფესორებმა თამაზ გელოვანმა და ჯემალ მონიავამ ინდივიდუალური პრიზებით დააჯილდოვეს მეკარე გიორგი კიკნაძე („რეალი“), ბომბარდირი ერჰან ჩეთინი – 12 გოლი („ნიგერია“) და ტურნირის საუკეთესო მოთამაშე კლიფ-ნჯაჰ ვერხეო ვაქი („ნიგერია“).

ვიტალი ჯაფარიძე

ეპიტაფია

ელგუჯა ლებანიძე

ქართველ მწერლებს კიდევ ერთი ღირსეული თანამოკალმე გამოაკლდათ.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე **ელგუჯა მიხეილის ძე ლებანიძე**, რომელიც თავისი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში პატიოსნად, ერთგულად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, მშობელ ერს, მშობლიურ მწერლობას და თავისი მართალი, ნიჭიერებით გაჯერებული სიტყვით ცდილობდა, სალბუნად დასდებოდა მისი სათაყვანებელი სამშობლოს მარადმდინარე იარებს...



ელგუჯა ლებანიძე დაიბადა 1937 წლის 8 ნოემბერს გურჯაანის რაიონის სოფელ მუკუზანში. ველისციხის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. არმიიდან დაბრუნების შემდეგ, 1960 წელს, ელგუჯა ლებანიძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1965 წელს დაასრულა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ახმეტის რაიონულ გაზეთ „ბახტრიონის“ მთავარ რედაქტორად, გაზეთ „ელექტრიკოსის“ რედაქტორ-დამაარსებლად, „სოფლის ცხოვრების“ განყოფილების გამგედ, გაზეთ „საქმიანი კვირის“ რედაქტორად, გაზეთ „სიმართლის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმომხილველად და საკუთარი წვლილიც შეჰქონდა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პრობლემების გაშუქებაში...

ელგუჯა ლებანიძის სამწერლო დებიუტი 1962 წელს შედგა, როდესაც თსუ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტში“ მისი პირველი ლექსი „ამაღლება“ გამოქვეყნდა. მას შემდეგ მწერლის მოთხრობები, ნოველები, ლექსები, საბავშვო ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდებოდა ლიტერატურულ პრესაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი ცხოველი ინტერესით შეხვდა ელგუჯა ლებანიძის ისეთ პოეტურ თუ პროზაულ კრებულებს, როგორიცაა „თბილისში ბარათებს არ აგზავნიან“, „გადასწიეთ ფარდა, შემოუშვით სინათლე“, „არა ოდენ მახვილით“, „სავსე მთვარე“, „ბედი მდევარი“, „აისიდან დაისამდე“; რომანები, „უფლისწული უჩინმაჩინის ქვეყნიდან“ და „წამი და მთელი სიცოცხლე“. ეს ნაწარმოებები, უპირველესად, დიდი ადამიანური სიმართლით, ძარღვიანი ქართულით, ბუნებრივი, ლაღი დიალოგებით, თავანკარა იუმორით გვხიბლავს, თან ბევრ ჭირსა თუ ვარამზე ჩაგვაფიქრებს, რომლებიც ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია და წალეკვით გვემუქრება...

ქართველმა ბავშვებმა შეიყვარეს ელგუჯა ლებანიძის საყმაწვილო ლექსებისა და მოთხრობების კრებულები „ცასწავალას სამღერი“ და „სიხარულს ძებნა არ უნდა“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დიდი სიყვარულით გამთბარი მოგონებების წიგნი „მიახლებია პოეტი ოთხმოცს“, რომელიც ბატონმა ელგუჯამ საქართველოს დიდ ჭირისუფალს მურმან ლებანიძეს უძღვნა.

მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიული ნაშრომი რენო თურქიას შემოქმედებაზე „დასაწყისი უკვდავებისა“.

ელგუჯა ლებანიძის პუბლიცისტური კრებულები „დამესიზმრე წუხელ, სულო“, „დასაწყისი უკვდავებისა“, „ნახტომი უსასრულობაში“ მისი პრინციპულობის, შეუვალობის, სიმართლის ერთგულებაში გვარწმუნებენ.

მისი შემოქმედების ცალკეული ნიმუშები ითარგმნა რუსულ, აზერბაიჯანულ, ჩეჩნურ ენებზე...

ელგუჯა ლებანიძე დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემია. როგორც წლის საუკეთესო ჟურნალისტი, დაჯილდოებული იყო ოქროს ფრთით.

ქართველი მწერლები დიდი გულისტკივილით ეთხოვებიან ელგუჯა ლებანიძეს, მწერალს, ჟურნალისტს, ერისკაცს, საოცრად სათნო, კეთილსა და უანგარო პიროვნებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი, ცნობილი რუსთველოლოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი არაბული

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ზესკნელი დიდი პაპირუსია“...

ერთ ლექსში, რომელსაც „ტკივილიანი უსტარი“ ჰქვია, ელგუჯა ლებანიძე საკუთარ თავს ეკითხება: „...მეც გრანელივით პასუხს ვეძებ, ვფიქრობ ამაზე, — ღირდა კი მოსვლა ცოდვით სავსე ამ ქვეყანაზე?!

საკუთარი ბედის მჭედელი, მრავალჭირგამოვლილი ჟურნალისტი და სანთელივით წმინდა კაცი ამ კითხვაზე პასუხის ძიებისას ასე „იმშვიდებს“ თავს: „ამ უმწარესი კითხვის პასუხს მისგან მოველი, ვისაც მორჩილებს წუთისოფლის მგზავრი ყოველი! — ღმერთო, მაღალო, მომიტევე ეს შეცოდება, ვინძლო უშენოდ მთა და ბარი არ გასწორდება!“...

უფალმა მხოლოდ ელგუჯას მსგავს კაცებს მიუტევა, შეუნდო და ცოდვილ დედამიწაზე სიკეთის, რწმენის და მომავლის იმედის დასამკვიდრებლად სიცოცხლე „მიუსაჯა“. ელგუჯა ლებანიძე ერთი იმათგანია, რომელიც ახალგაზრდობიდანვე კალმით და სიტყვით ებრძვის სიცრუესა და უსინდისობას, ბოროტებას და ძალადობას, უსულგულობასა და მზაკვრობას...



ამ ბრძოლამ შეიწირა. მამულზე, სამშობლოს უბედობაზე, ქართველთა გათითოკაცებაზე, უტიფარ და უმწიფარ ხელისუფალთა უგვანობაზე, ოცდამეერთე საუკუნეში მოჭარბებულ შურსა და გაუტანლობაზე, აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე ფიქრმა, პირდაპირი გაგებით, სისხლი გაუთეთრა და... ჯერ კიდევ სიცოცხლის, შვილების, შვილიშვილების, მართლაც შესანატრი სამეგობროს ტრფიალი კაცი, უკურნებელი სენით დააავადა...

ჯავარიანი სიტყვის პატრონი ელგუჯა ლებანიძე ისევე ჰგავს საკუთარ შემოქმედებას, საკუთარ მოთხრობებს, ლექსებს, პუბლიცისტურ წერილებს, როგორც ქართველთა სევდას, მოძმეთა ცოდვებს, საქვეყნო ტკივილს შეწირული უნიჭიერესი მწერალი და რეჟისორი გოდერძი ჩოხელი. გოდერძის ფაქიზმა სულმა მხოლოდ 54 წელიწადს გაუძლო, ელგუჯა ლებანიძისამ — 77 წელიწადს...მაშასადამე, უფრო დიდხანს იტანჯა...

შესანიშნავად თქვა ელგუჯას ნიჭის დამფასებელმა კრიტიკოსმა ივანე ამირხანაშვილმა: „უბრალოება, როგორც სისადავის სინონიმი, ელგუჯა ლებანიძის პროზის გამორჩეული ნიშანია“...

აფხაზეთის ტკივილით გულდასერილი პოეტი და ჟურნალისტი გივი ბერაია კი თითქოს გულწრფელ მადლობას უხდის კახეთში დაბადებულ და დაფრთიანებულ ელგუჯა ლებანიძეს დედასაქართველოს დროებით მოწყვეტილი ზღვისპირა წალკოტის ეროვნული ტრაგედიის აგრერიგად გათავისებისთვის: „ელგუჯა ერთი იმათგანია, ვისი გულიც დედაჩიტის ამოკვნესით და თავგამეტებით დასტრიალებს თავს აფხაზეთის მოშლილ ქართულ ბუდეებს“.

მწერლის ნოველები, მოთხრობები თუ კალმის ერთი მოსმით, ჭეშმარიტი ოსტატისთვის დამახასიათებელი ჩანახატები, საბავშვო ნაწარმოებები გულითადი და ალერსიანია, რადგანაც თვითონ ელგუჯა იყო საოცრად გულითადი, სამართლიანი და ქართული ცნობიერებით სავსე კაცი.

„ელგუჯა ლებანიძის წიგნებს, რაც დრო გაივლის, მით უფრო მეტი ფასი დაედება... როცა ცუდ გუნებაზე ხართ, მისი „ალიართალიბალიართალი“ წაიკითხეთ — გვირჩევს ცნობილი პროზაიკოსი კარლო კობერიძე.

ამ შეფასებების წაკითხვის შემდეგ ყველა დაგვერწმუნება, რომ ელგუჯა ლებანიძე ერთობ მრავალმხრივი შემოქმედია. მისი პუბლიცისტური წერილები და ჟურნალისტური რეპორტაჟები საქართველოს ყველა კუთხიდან (განსაკუთრებით კი, აფხაზეთიდან და აჭარიდან), იმის ნათელი დადასტურებაა, რომ განათლებული და ხელგაწაფული ჟურნალისტი დიდებული მწერალიც არის.

განსაკუთრებით საგულისყუროა, რომ მის უბრალო და ჭეშმარიტი გულშემატკივრის პოზიციით გაჯერებული ნაწერები სავსეა ლაღი იუმორით, ფრთიანი გამოთქმებით. ეს დაუზარელი კაცი ბოლომდე უბის წიგნაკში იწერდა ხალხში გაგონილ გაუხუნარ ფრაზებს.

გულისტკივილით უნდა ვაღიაროთ, რომ მისი შემოქმედება ჯეროვნად წაკითხული და დაფასებული არ არის. თუმცაღა, როგორც ყველა თავმდაბალ, ზნეკეთილ, უამბიციო ადამიანს შეშვენის, ამას მწერალი არც იმჩნევდა. „მირიად ვარსკვლავს გადაუვსია ცა, ქრისტეს აკვნის გადამრწეველი, ზესკნელი დიდი პაპირუსია, მე კი — უბრალო გადამწერელი“, — წერს ერთ ლექსში ელგუჯა ლებანიძე და სტრიქონის ბოლოში სამ წერტილს, გონიერი მკითხველისთვის ადვილად გასაგებ სამ წერტილს სვამს...

ჯერ კიდევ 15 წლის წინათ ჩვენი ცნობილი მწერალი და დრამატურგი აკაკი გეწაძე სინანულით შენიშნავდა „სამწუხაროა, ჟამთა სიავის გამო ახლა ბევრი კარგი წიგნი რჩება შეუმჩნეელი. ელგუჯა ლებანიძის წიგნები ბევრ ეროვნულ საფიქრალს აღგიძრავს, მას დანახვა უნდა“.

დარწმუნებული ვართ, რომ ელგუჯა ლებანიძის ძვირფასი მეუღლე, შესანიშნავი ჟურნალისტი ლამარა ესართია და შვილები, ასევე ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი კალმოსნები შორენა და მირიან ლებანიძეები ყურადღებას არ მოაკლებენ მამის შემოქმედებას და მის რჩეულ ნაწერებს მალე წარუდგენენ მკითხველს.

მართალია, სულით და ხორცით ლამაზი ერთი ქართველი კაცის სააქაო ცხოვრება დამთავრდა, მაგრამ მისი ნიჭიერებითა და სიკეთით სავსე შემოქმედების აღიარება აუცილებლად გაგრძელდება... „მე შენს სიყვარულს აკვნიდან ვჩემობ, სულში ბრიალებს წმინდა კანდელი, შენ ლაზარე ხარ, მამულო ჩემო, და უფლის ხელის შეხებას ელი“, — ანდერძივით დაგვიტოვა ჩვენმა სახელოვანმა კოლეგამ.

ელგუჯა ლებანიძის სულს კიდევ ერთხელ შეეხო უფლის ხელი და ზეცაში მარადიული სასუფეველი დაუმკვიდრა, მისი ლაზათიანი სიტყვა („...„და ამასა ენას ლაზარე ჰქვიან“) ჩვენ დაგვიტოვა!

გმადლობთ, უფალო!

ოთარ ხუციშვილი,
სპარტაკ ქობულია.

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (№802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების **გორის მუნიციპალიტეტში არსებული ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის და „გარდიგარდმო“ მაგისტრალური არხის I, სხვა რიგის გამანაწილებლების შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია სათავე ნაგებობის მოწყობით (უკაშხალო სათავე ნაგებობა), კონტრაქტით №:A/W/NCB-2015/01**

ლოტი-1 სათავე ნაგებობა, დოუკერი და მაგისტრალი პკ 0+00-დან პკ 41+30-მდე

ლოტი-2 მაგისტრალური არხი პკ 41+30-დან პკ 95+30-მდე და კვანძი №1

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. ლოტი-1-ის კონტრაქტების ხანგრძლივობაა **4 თვე**. ლოტი-2-ის კონტრაქტების ხანგრძლივობაა **4 თვე**.

2. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2014 წლის 26 დეკემბრიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 302004400;
გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი — 4411.

3. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2015 წლის 15 იანვრის 12:00 საათისა, როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

4. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი

თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი №309
ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge
ტელ. +995 (32) 237-66-48.

ქართველი მომხმარებლის ფავორიტი ბრენდები

პოპულარული ბრენდების სია, რომლებმაც BPN.GE-ის გამოკითხვაში ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს

რამდენიმე დღის წინაა BPN.ge-მ მკითხველებს შორის საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა, სახელწოდებით - **№5 ქართული ბრენდი, რომლებიც პირველ რიგში გახსენდებათ„. ჩვენი მკითხველები აქტიურად ჩაერთნენ ამ გამოკითხვაში. მიუხედავად იმისა, რომ სახუმარო კომენტარებიც მივიღე (მაგალითად: „ჯულიეტას არაყი“, „მეფრინველეობის ფაბრიკა აირზენა„, „მეორადი ტანსაცმელი ევროპიდან„ და ა.შ...) რესპონდენტების უმრავლესობა სერიოზულად მოეკიდა გამოკითხვას. ჩვენმა მკითხველებმა რჩეულთა შორის დაასახელეს – „ბორჯომი„, „ნაბელლავი“, „ზედაზენი“, „მაგთი“, „ჯეოსელი“, „მედიაპალიტრა“ და სხვა კომპანიები, რომლებიც მხარს უბამენ თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და მომხმარებელთა შორის პოპულარობით სარგებლობენ. ჩვენც სწორედ ამ გამოკითხვაზე დაყრდნობით შევადგინეთ თანამედროვე, პოპულარული ბრენდების სია, რომლებმაც BPN.ge-ის გამოკითხვაში ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს და მოკლე დროში შეძლეს თავიანთი ადგილის დამკვიდრება ქართულ ბაზარზე.**

1. მკითხველებმა პოპულარულ ბრენდებს შორის არაერთხელ დაასახელეს საუკეთესო ქართული ღვინო **„ბადაგონი“**. 2010 წელს, ლონდონის სამეფო ოპერის თეატრში, კოვენტ გარდენზე, მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული კონკურსის, „დეკანტერის„ გამარჯვებულად სწორედ ღვინო „ბადაგონი„ დასახელდა და მის მწარმოებლებს ჟიურის უმაღლესი ჯილდო – გრან-პრი გადასცეს. „ბადაგონი“ ევროპის საუკეთესო წითელი ღვინოების ასეულში შევიდა, რითაც კიდევ ერთხელ გაუთქვა სახელი ქართული ღვინის ინდუსტრიას. ამ კონკურსზე მსგავსი მაღალი ჯილდო ქართული ღვინის კომპანიას პირველად მიანიჭეს.

2. ჩაი **„გურიელი ექსპორტი„** პოპულარულია როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში. ეს ჩაი მოყვანილია დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში. „გურიელი ექსპორტი„ დახლზე პირველად 2010 წელს გამოჩნდა. ეკოლოგიურად სუფთა, გამორჩეული გემო, მრავალი სასარგებლო თვისება, ექსკლუზიური შეფუთვა – ეს ყველაფერი გახდა საწინდარი იმისა, რომ ჩაი „გურიელის“ კლასიკურმა ხაზმა უმოკლეს დროში მოიპოვა მომხმარებლის აღიარება და სიყვარული. აღსანიშნავია, რომ პროდუქციის დამზადებისას კომპანიაში არ იყენებენ ქიმიურ დანამატებს, კონსერვანტებს, ემულგატორებსა და საღებავებს, რის გამოც „გურიელი ექსპორტი„ დიდი მოწონებით სარგებლობს.

3. **„კულას“** წვენებს საქართველოში უკვე ყველა იცნობს. ამ პროდუქციას „გორის საკონსერვო ქარხანა კულა„ აწარმოებს. კომპანია ხილისა და ბოსტნეულისაგან ეკოლოგიურად სუფთა წვენებს ამზადებს. „ოქროს ბრენდი - 2013“-ის დაჯილდოებაზე კომპანია „კულა„ გამარჯვებულად დასახელდა და იმ კომპანიებს შორის მოხვდა, რომლებმაც უმოკლეს დროში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს. 2013 წელს კომპანიამ პროდუქციის ასორტიმენტი კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა. „კულამ“ პირველივე წელს მოიპოვა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მწარმოებლის სახელი და ნატურალური წვენების წარმოებაში ლიდერი გახდა. „კულას„ პროდუქცია ექსპორტზე გადის მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის, ისეთ მოწინავე ქვეყნებში, როგორებიცაა: აშშ, კანადა, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ა.შ...

4. შპს **„ბარამბო“** 2009 წლის 11 მარტს დაარსდა. კომპანიას ანალოგი არ ჰყავს ამიერკავკასიაში წარმოების მასშტაბითა და ტექნოლოგიით. უმაღლესი ხარისხის ბელგიური ნედლეულის გამოყენებამ და წარმოების მუდმივმა კონტროლმა კომპანიას საშუალება მისცა, პროდუქციის თანამედროვე სტანდარტებისათვის მიეღწია. დღეს კომპანია „ბარამბოს“ ლიდერის პოზიცია უკავია საქართველოს ბაზარზე და ტკბილეულის მრავალფეროვანი ასორტიმენტით გამოირჩევა. ქართულ ბაზარზე უკვე აღიარებული ბრენდია შოკოლადის წარმოებაში.

5. **„ნიკორას“** პირველი საფირმო მაღაზია თბილისში 2000 წელს გიხსნა. მომდევნო წლებში მაღაზიათა ქსელი გაფართოვდა და საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა. ამჟამად, „ნიკორა“ ქართულ ბაზარზე ყველაზე მრავალრიცხოვანი სავაჭრო ქსელითაა წარმოდგენილი. „ნიკორას„ სუპერმარკეტებს თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ათასობით მომხმარებელი ჰყავს.

6. **„ნატახტარი“** – სააქციო საზოგადოება „ლომისის„ მიერ წარმოებული ბრენდია. 2005 წლის სექტემბერში, სააქციო საზოგადოებამ „თიბისი ბანკისა„ და EBRD-ის ინვესტიციების მოზიდვის შედეგად ააშენა და აამუშავა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლუდსახარში „ნატახტარი“. 2008 წელს ლუდსახარშის საქმიანობით უმსხვილესი კომპანია „ეფესი„ დაინტერესდა, რომელმაც ლუდსახარშის 100%-იანი წილი შეიძინა. კომპანია „ნატახტარი“, გარდა ლუდისა, რამდენიმე დასახელების ლიმონათსაც აწარმოებს.

7. **„ავერსი“** ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე. კომპანია 20 წლის წინ დაარსდა. ცნობილია, რომ ფირმის დამფუძნებელმა პაატა კურტანიძემ, მის დასარეგისტრირებლად მხოლოდ 70 დოლარი გადახადა. შემდეგში „ავერსი“ სტაბილურად განვითარდა და იმ მასშტაბებს მიაღწია, რომ ქართული ფარმაცევტული ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. დღეს ამ კომპანიის სახელს უკავშირდება საკმაოდ მაღალი დონის სააფთიაქო ქსელი საქართველოში. ვერავინ უარყოფს, რომ „ავერსი“ ევროპული დონის სააფთიაქო ქსელის მფლობელია, რომელიც ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ასობით ფილიალს აერთიანებს. „ავერსთან“ ასოცირდება უმაღლესი დონის კლინიკათა ქსელიც.

8. **კომპანია PSP-ს** სერიოზული ადგილი უკავია ქართულ სააფთიაქო ბაზარზე. სახელწოდება PSP, ლათინური გამოთქვამის Paulatim Summa Petuntur მიხედვით დაარქვეს, რაც ქართულად ასე ითარგმნება – „ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალისკენ“. პე-ეს-პე უკვე 20 წელიწადზე მეტია, ფუნქციონირებს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე. თავდაპირველად პე-ეს-პე-ს სადისტრიბუციო კომპანია შეიქმნა, რომელიც საქართველოში ევროპული მედიკამენტების პირველი ოფიციალური დისტრიბუტორი გახდა. კომპანიას ეკუთვნის ფარმაცევტული საწარმო GMP. პე-ეს-პე-ს აფთიაქების ქსელი მთელი საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება.

9. ქართულ საბანკო სექტორში **„თიბისი ბანკს“** გამორჩეული პოზიცია უჭირავს. მისი ისტორია 1992 წელს დაიწყო, როდესაც ქართველმა ბიზნესმენებმა – მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ ბანკი დააფუძნეს. ბანკის საწყისი კაპიტალი 500 აშშ დოლარს შეადგენდა. „თიბისი ბანკი„ თავიდან მთლიანად კორპორატიულ სეგმენტზე, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე იყო ორიენტირებული. ქართულ საბანკო სექტორში ბანკის მზარდმა პოზიციამ საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების დაინტერესება გამოიწვია. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი პირველი საფინანსო დაწესებულება იყო, რომელმაც „თიბისი ბანკთან“ ხელშეკრულება გააფორმა, ამის შემდეგ, „თიბისიმ“ ინტენსიურად დაიწყო მუშაობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და სავაჭრო სფეროს დასაფინანსებლად სესხები მოიზიდა. „თიბისიმ“ თანდათან უკან ჩამოიტოვა ყველა კონკურენტი და ქვეყნის უმსხვილესი კომერციული ბანკი გახდა.

10. სს **„საქართველოს ბანკი“** 1994 წლის 21 ოქტომბერს, ყოფილი „ბინსოცბანკის“ ბაზაზე დაფუძნდა. ის ჩვენს ქვეყანაში უმსხვილესი ბანკია აქტივების, სასესხო პორტფელის, დეპოზიტებისა და სააქციო კაპიტალის მიხედვით. ბანკს საქართველოში სიდიდით მეორე ფილიალების ქსელი აქვს და 1 მილიონზე მეტი მომხმარებლის ანგარიშს ემსახურება. ბანკი საკუთარ მომხმარებლებს მთელ საქართველოში სთავაზობს მომსახურების ფართო სპექტრს. გარდა ამისა, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სადაზღვევო პროდუქტების ფართო არჩევანსაც სთავაზობს შვილობილი კომპანია „ალდაგის“ მეშვეობით.

ხათუნა ჩიგოგიძე

⊙ ᲪᲘᲜᲪᲮᲐᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ

მივიდა სანტექნიკოსი ექიმთან, ნახევარ საათში შეუკეთა ონკანი და გასამრჯელოდ 80 ლარი მოსთხოვა.

– რა ამბავია ამდენი, – გაუკვირდა ექიმს, – მე, მაღალკვალიფიციური ექიმი, ერთ საათში 50 ლარს ვღებულობ, შენ კი, სანტექნიკოსს, თითქმის ორჯერ მეტი გინდა?

– მეც ასე ვმსჯელობდი, როცა ექიმად ვმუშაობდი, – ირონიულად ჩაეცინა სანტექნიკოსს.

* * *

– **მთელი** კვირა ვეჩიჩინებოდი ჩემს ოხერ ქმარს, რომ ტუალეტი შეეკეთებინა, – ეუბნება დაშა დაქალს.

– მერე, დაიყოლიე?

– **გუშინ** ტუალეტის კარებზე განცხადება გამოაკრა, – „დაკეტილია რემონტის გამოო“ – და გარაჟში წავიდა.

* * *

შვებულებაში მარტო დირექტორი გავიდა, მაგრამ დასვენებით მთელმა კოლექტივმა დაისვენა.

* * *

არც ერთ კანონს არ გამოუწვევია უცენზურო ლექსიკის ისეთი ნათქვამი, როგორც კანონმა უცენზურო ლექსიკის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

* * *

შრომამ მაიმუნისგან შექმნა ადამიანი, უსაქმურობამ კი – ვირისგან დირექტორი.

⊙ ᲙᲐᲓᲠᲘ

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲡ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24